ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 27 – 28 იანვარი, 2018 №22 (7567) ფასი: 50 თეთრი

## „ლანცეტის“ მიერ აზერბაიჯანიდან მოწვეული ქირურგ-ტრანსპლანტოლოგის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო



გვ.5

26 იანვრიდან
რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა
ქართული დეტექტივი ტომი 4
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# სკანდალი თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეში

## დაუშვა თუ არა სპეცრაზმმა შეცდომა



გვ.3

პანკისის ხეობის უხუცესები მთავარ პროკურორთან შეხვედრას ითხოვენ





გვ.3

## საქართველოში, შესაძლოა, ამერიკული სამხედრო ბაზა განთავსდეს

გოჩა მირცხულავა: „რუსეთი ჩვენს დაბომბვას ველარ გაბედავს“

## ვახტანგ ძაბირაძე: „თუ ივანიშვილი დაბრუნდება, მაშინ პრემიერად დაბრუნდება და არა პრეზიდენტად“



გვ.2



## შინაპატიმრობამისჯილი სააკაშვილი აქციებს იწყებს

გვ.2



### სამართალი გვ.7

„უცნობის“ სიძე ბიზნესომბუდსმენს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს





ადვოკატი: „ტერაბანკს“ პასუხისმგებლობა დაეკისრა, დაზარალებულ მეანაბრეს ბანკის მოხელის მიერ დანაშაულებრივი გზით მითვისებული თანხა დაუბრუნოს“

შსს: „სამართალდამცველებმა ოჯახში ძალადობის ბრალდებით 14 პირი დააკავეს“



არჩილ თალაკვაძე: „ნარკოპოლიტიკის ისეთ მოდელზე ვმუშაობთ, რომელიც შეამცირებს ნარკოტიკების პრობლემას“



### ეკონომიკა გვ.6

ლომბარდები ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მოექცევა



„ნენსკრა ჰესისთვის“ გასაჩეხი 200 ჰექტარი ტყის აღდგენის ბუნდოვანი ალტერნატივა





მოქალაქეებს შესაძლოა სავალუტო ჯიხურებში გადაცვლილი თანხის დაბრუნების უფლება გაუჩნდეთ

ISSN 1987-9385

2 ქუჩები, სადაც სამარშრუტო ტაქსები მხოლოდ გაჩერებებზე გააჩერებენ

6 „სოკარი“: „ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც ცოტა და ძალიან ხარისხიანზე უნდა კონცენტრირდეს“

4 დაბა ლაითურში ხანძრის შედეგად ხუთი ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა

2 „თუ ვინმეს ნეგატიური გამოცდილება აქვს ბანკთან, ამისთვის ბევრი მექანიზმი არსებობს“

ნათია ხურცილავა

# ვახტანგ ძაბირაძე: „თუ ივანიშვილი დაბრუნდება, მაშინ პრემიერად დაბრუნდება და არა პრეზიდენტად“

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, დაბრუნდება თუ არა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში.**

*— ბატონო ვახტანგ, ვინაიდან აქამდე „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატურის შესახებ პრესაში არ გაჟონა ინფორმაციამ, რამდენად შესაძლებელია, რომ ან კანდიდატზე ვერ თანხმდებიან, ან „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი იყოს?*

— ძალიან მეეჭვება, რომ ბიძინა ივანიშვილმა ეს გადაწყვეტილება მიიღოს. ივანიშვილმა საჯარო სივრცეზე უარი თქვა. გამორიცხვით ვერაფერს ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ არ მესმის, რატომ უნდა უნდოდეს პრეზიდენტობა?! მით უფრო, სიმბოლური პრეზიდენტობა. როდესაც საუბარია, რომ „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის სავარძელს არ დათმობს და ბოლომდე იბრძოლებს, ეს გასაგებია და ლოგიკურია. ამ შემთხვევაში მმართველი ძალისთვის იმდენად პრეზიდენტის პოსტი არ არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის, რომ მან არჩევნები არ წააგოს, არჩევნების წაგება არ დაუშვას.

ივანიშვილი თუ საჯარო სივრცეს დაუბრუნდება, მაშინ ნომინალური ფიგურა კი არ იქნება, არამედ მთავარი ფიგურა იქნება. თუ მან მიიღო საჯარო სივრცეში დაბრუნების გადაწყვეტილება, მაშინ პრემიერად დაბრუნდება და არა პრეზიდენტად.



*— შეიძლება ეს გადაწყვეტილება მიიღოს იმიტომ, რომ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები კვლავ „ქართულმა ოცნებამ“ მოიგოს?*

— თუ საჯარო სივრცეში დაბრუნდება ივანიშვილი, გახდება პრეზიდენტი და მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნების“ რეიტინგი კლებას დაიწყებს, მაშინ ივანიშვილი 2020 წელს, საპარლამენტო არჩევნებზე თავის გუნდს ვერაფრით ვერ დაეხმარება, მაგრამ თუ დარჩება ისევ ისე, როგორც დღეს არის, აქტიური საჯარო სივრცის მიღმა, მას შეუძლია 2020 წლისთვის „ქართულ ოცნებას“ დაეხმაროს. როგორც ჩანს, მმართველ პარტიას ეს დახმარება მაშინ აუცილებლად დასჭირდება. მაშინ, ივანიშვილს შეუძლია პოლიტიკაში დაბრუნება და იმის თქმა, რომ არსად წასვლას არ აპირებს და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას გეგმას. ამით ის კიდევ ერთხელ დაეხმარება „ქართულ ოცნებას“.

*— და არჩევნებს მოაგებინებს?*

— დიახ. თუ, რასაკვირველია, ეს მან მოინდომა. ეს ვარიანტი უფრო „გამსვლელი“ ვარიანტია, ვიდრე ის, რომ ახლა დაბრუნდეს ნომინალური პრეზიდენტის პოსტზე და რეიტინგი დაკარგოს.

უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ მის ცხრაწლიან გასვლას არგუმენტი მოუძებნოს და დაბრუნდეს არა როგორც პრეზიდენტი, არამედ, როგორც პრემიერი. ეს უფრო გასაგები და ლოგიკური იქნებოდა. ქვეყანაში არცთუ ისე კარგად არის საქმე, ქვეყანას ისევ სჭირდება გამაერთიანებელი, შემკვრელი ძალა, ახალი სინერგია, ახალი პოლიტიკური კაპიტალი და „ქართულ ოცნებაში“ თუ ვინმეს აქვს ასეთი კაპიტალი, ეს ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილია.

ვინც ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება, როგორც პრეზიდენტი, მათ ნახევრად ხუმრობით ვკითხავდი: რატომ, რომ არ შევიდეს ავლაბრის რეზიდენციაში?! დარწმუნებული იყავით, ახალი პრეზიდენტიც არ შევა ავლაბრის სასახლეში.

*— აბა სად შევა?*

— კოლმეურნეობის მოედანზე მდებარე პატარა რეზიდენციაში.

*— აქამდე რადგანაც არ გამოჟონა ინფორმაციამ, შეიძლება „ქართულ ოცნებაში“ კანდიდატზე ვერ თანხმდებიან?*

— არ გამოვრიცხავ, რამდენიმე



კანდიდატურა შესთავაზეს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ მან დაიწუნა და ამან გამოიწვია ჭორი, რომ თავად ხომ არ უნდა პრეზიდენტობა. შეიძლება ეს განცდა გაჩნდა იმ წრეში, რომელიც ახლოს არის ივანიშვილთან და აქედან წამოვიდა ეს ყველაფერი. ისე, უკვე სახეზეა, რომ „ქართულ ოცნებაში“ სხვადასხვა დაჯგუფებებია. ამ დაჯგუფებებს ყველას თავთავიანთი კანდიდატი ჰყავთ. ან შეიძლება საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავდეთ, მაგრამ პრემიერის სკამის გამოთავისუფლებას ელოდებიან ანუ პრემიერობის კანდიდატი ჰყავდეთ. თუმცა, ნებისმიერი კანდიდატი, რომელსაც დღეს „ქართული ოცნება“ დააყენებს, არჩევნებს მოიგებს, მაგრამ რა იქნება მაისში, ეს უკვე რთული სათქმელია. გაზაფხული ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურად ყოველთვის მნიშვნელოვანია.

## „თუ ვინმეს ნეგატიური გამოცდილება აქვს ბანკთან, ამისთვის ბევრი მექანიზმი არსებობს“



— თუ დღეს ვინმეს ნეგატიური გამოცდილება აქვს ბანკთან, ამისთვის ძალიან ბევრი მექანიზმი არსებობს, — ამის შესახებ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა მურთაზ კიკორიამ საქმის კურსის პირდაპირ ეთერში განაცხადა. ასე უპასუხა კიკორიამ პრეტენზიებს, რომელიც სამშენებლო კომპანიების ნაწილს აქვს. კერძო სექტორის ნაწილი აცხადებს, რომ ბანკები პროექტების დაფინანსებაზე უარს ეუბნებიან და მსგავს პროექტებს თავიანთი არაპროფილური ბიზნესით თავად ახორციელებენ.

სამშენებლო სექტორს რაც შეეხება, გასული წელი ამაზე საუბარს დაეთმო. აქ მეორე მხარეც არის, საბანკო სექტორის დაკრედიტება სამშენებლო სექტორში 2 მილიარდ ლარზე მეტია. თუ დღეს ვინმეს გარკვეული ნეგატიური გამოცდილება აქვს ბანკთან, ამისთვის ძალიან ბევრი მექანიზმი არსებობს. არის კონკურენციის სააგენტოც, სასამართლო, ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურა, — აცხადებს კიკორია.

მისივე თქმით, საბანკო ჯგუფების რეგულირების მიზნით ამ მიმართულებით გაჩნდა გარკვეული ჩანაწერები კანონში, რომელიც ბანკის ტოპმენეჯერს კონკრეტული ინფორმაციის მის სასარგებლოდ გამოყენებას უკრძალავს.

მნიშვნელოვანი ჩანაწერი გაჩნდა ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში — კომერციული ბანკების ადმინისტრატორებს, ანუ მაკონტროლებელ პირებს (აქციონერებს, საბჭოს წარმომადგენლებს, ტოპ მენეჯერებს), ვინაიდან მათ სექტორის ინფორმაციასთან წვდომა აქვთ, აეკრძალათ ასეთი ინფორმაციის გამოყენება სხვა სექტორში უპირატესობის მისაღებად. ამის უკან დგას ის, რომ სებ ი გააკონტროლებს, თუ რა ინფორმაციასთან აქვთ წვდომა ამ პირებს.

ჩვენ მოცემული გვაქვს გარკვეული ვადა, რომ შესაბამისი მექანიზმები შევიმუშაოთ სანქციების ჩათვლით და აღნიშნული საკითხი ამ პერიოდში უფრო გამჭვირვალედ და თვალსაჩინოდ იქნება დასრულებული. დრო პირველი კვარტლის ბოლომდე გვაქვს, — აღნიშნა კიკორიამ.

# შინაპატიმრობამისჯილი სააკაშვილი აქციებს იწყებს

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, 26 იანვარს კიევის სააპელაციო სასამართლომ შინაპატიმრობა მიუსაჯა.**

კიევის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოდესის ოლქის ყოფილ გუბერნატორზე შინაპატიმრობა 22:00 საათიდან 07:00 საათამდე პერიოდში გავრცელდება. ამის გარდა, ჩვენებური ვალდებულია ელექტრონული სამაჯური ატაროს.

უკრაინის გენერალური პროკურატურა სააკაშვილისთვის სადღეღამისო შინაპატიმრობას ითხოვდა.

ამ გადაწყვეტილებით სააკაშვილი, წესით, კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ არა. ჩვენებურის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ მას პოლიტიკური მოღვაწეობა შეუზღუდა. მან მოსამართლეებს გაყიდულები უწოდა.

— ესენი მოსამართლეები კი არა, გაყიდული არსებები არიან. თქვენ ხედავთ, რომ ეს საქმე ფალსიფიცირებულია. მათ არ უნდათ, მე რომ გადავადგილდებოდე, მაგრამ არ გამოუვათ ეს. უახლოეს დღეებში ჩვენს მარშს გამოვაცხადებთ, რათა იმ ადამიანის იმპიჩმენტს მივაღწიოთ, ვინც უღალატა მაიდნის იდეალებს. მინდა ყველას ვუთხრა, რასაც არ უნდა აკეთებდნენ ისინი, ჩვენ გავიმარჯვებთ და მათ მოუწევთ, ხელისუფლება დათმონ. მინდა ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც აქ მოვიდა. ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ, — აღნიშნა სააკაშვილმა.

მოგვიანებით მან პეტრო პოროშენკოს წინააღმდეგ აქციების მოწყობაც დააანონსა.

— რაც სასამართლომ 26 იანვარს გააკეთა, ეს პირდაპირი მცდელობაა, შეზღუდონ ჩემი პოლიტიკური საქმიანობა. მათ არც ერთი მცდელობა, რომ შეზღუდონ ჩემი გადაადგილება, ურთიერთობა ადამიანებთან, ჩამკეტონ სახლში, არ გამოუვათ... უახლოეს პერიოდში გამოვაცხადებთ მარშებს იმპიჩმენტის მოთხოვნით, — აღნიშნა შინაპატიმრობამისჯილმა.

სააკაშვილი ამბობს, რომ პოროშენკოს თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით სხვა პოლიტიკურ ძალებთან და გაერთიანებებთან მოლაპარაკებებს გამართავს.



სააკაშვილისთვის გამოტანილ განაჩენს მის მშობლიურ პარტიაშიც გამოეხმაურნენ. ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, რომ განაჩენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უკრაინის ხელისუფლებას ოდესის ექსგუბერნატორის ეშინია.

— ეს იყო დაკვეთილი გადაწყვეტილება. მოსამართლე, რომელიც ცნობილია ზოგადად მართლმსაჯულების წრეებში, როგორც ერთ ერთი ყველა დაკვეთის შემსრულებელი. ეს არის ე.წ. ღამის შიდა პატიმრობა. ღამის 10 საათიდან დილის 7 საათამდე და ფაქტი არის ერთი — ეშინიათ სააკაშვილის მოძრაობის რეგიონებში. იმიტომ, რომ ხალხის მობილიზაციაა სერიოზული და, შესაბამისად, ფიქრობენ, რომ ამით შეუზღუდავენ მას გადაადგილების სივრცეს, — აღნიშნა პირველ რადიოსთან საუბარში დეკანოიძემ.

მისი განცხადებით, სააკაშვილისთვის გამოტანილი განაჩენი თავად ხელისუფლებისთვის იქნება ცუდი.

— ვიცნობ რა სააკაშვილს და ვიცი მისი ამბიციები, მინდა გითხრათ, რომ ეს არის განაჩენი თვითონ ხელისუფლებისთვის იმიტომ, რომ წარმოუდგენელია, თუნდაც შიდა პატიმრობამ და რაღაც კომენდანტის საათის დაწესებამ, შეაჩეროს ის აქტივობა, რომელიც აქვს სააკაშვილს, — მიიჩნევს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

* * *

მიხეილ სააკაშვილი 2017 წლის 5 დეკემბერს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა დააკავა. დაახლოებით ერთი თვის წინ უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ განაცხადა, რომ კიევში სააკაშვილის მიერ ორგანიზებული აქციები უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის გარემოცვის მიერ იყო დაფინანსებული.

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ასევე გამოაქვეყნა აუდიოჩანაწერები, რომელშიც, მათივე მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილი და მოსკოვში გაქცეული ბიზნესმენი სერგეი კურჩენკო ფიგურირებენ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სკანდალი თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეში

## დაუშვა თუ არა სპეცრაზმმა შეცდომა

შორენა მარსაგიშვილი

**პანკისის ხეობაში დაძაბულობა არ იკლებს. 26 იანვარს იქ კიდევ ერთი აქცია გაიმართა. მოსახლეობა და უხუცესები მთავარ პროკურორთან შეხვედრას ითხოვენ.**





პანკისის ხეობის უხუცესები მთავარ პროკურორთან შეხვედრას ითხოვენ

მოგეხსენებათ, მთავარმა პროკურატურამ 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილის დაჭრასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

19 წლის ახალგაზრდა მიღებული ჭრილობის შედეგად ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა, საგამოძიებო უწყებიდან კი არაფერი ისმის. პანკისელებს გამოძიების შედეგები აინტერესებთ.

უხუცესთა საბჭოს წევრი ხასო ხანგოშვილი 26 იანვარს აქციის გამართვის მიზეზებზეც საუბრობს და ამბობს, რომ მოსახლეობა შიში აქვს, თითქოსდა სიმართლე არ დადგინდება.

– მოსახლეობაში გაჩნდა ეჭვი, რომ გამოძიება გაჭიანურებულია, არის შიში და განცდა, რომ შეიძლება მიჩუმათდეს ეს ყველაფერი, მოსახლეობა სპონტანურად შეიკრიბა და მოითხოვს გენერალურ პროკურორთან შეხვედრას. ჩვენ გვაინტერესებს, სადამდეა გამოძიება მისული, რა კუთხით მიდის. შეშფოთებას იწვევს გარემოება, რომ ეს ანტიტერორისტული ოპერაცია ისე ჟღერდება, თითქოს პანკისის ხეობაში ტერორისტები იყვნენ, – განაცხადა ხასო ხანგოშვილმა.

აქციას წინ სკანდალური ინფორმაციის გავრცელება უძღოდა, რომლის თანახმადაც, მაჩალიკაშვილის დაჭრა შემთხვევით მოხდა.

აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ ინფორმაცია სპეცოპერაციის ჩატარებიდან 2 დღეში გავრცელდა. „თაიმერს" სარწმუნო წყარომ მიაწოდა ინფორმაცია, რომ სპეცრაზმს არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს და ისინი მაჩალიკაშვილების სახლში შეცდომით შევიდნენ.

სარწმუნო წყარო იმასაც ამტკიცებდა, რომ მაჩალიკაშვილების ოჯახში შესულ სპეცრაზმელთაგან ერთ-ერთს იარაღი შემთხვევით გაუვარდა.

მაჩალიკაშვილი რომ შემთხვევით დაჭრეს, ამაზე 26 დეკემბერს პანკისში ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული რუსლან ალდამოვი ალაპარაკდა. ის აქამდე დუმილის უფლებას იყენებდა.

ალდამოვა ადვოკატ მარიამ კუბლაშვილს უთხრა, რომ სპეცრაზმმა 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილს შეცდომით ესროლა და რეალურად მისი ლიკვიდაცია უნდოდათ.

– მითხრა, რომ აქვს ეჭვი, გამიზნულად, არა გამიზნულად არ ვიცი, მაგრამ იყო დაგეგმილი მისი ლიკვიდაცია და მისი პიროვნება შეეშალათ თემირლან მაჩალიკაშვილის პიროვნებაში, – განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

რუსთავი 2-თან ადვოკატმა იმ საუბრის შესახებაც ისაუბრა, რომლის დეტალები მას ალდამოვმა გაუმხილა.

– ის იხსენებს ერთ მნიშვნელოვან ფრაგმენტს, როდესაც მოხდა მისი დაკავება. შეგახსენებთ, იგი თავისი ნებით ჩაბარდა, დაწვა იატაკზე, ხელი ასწია და შემდგომ, როდესაც გაჰყავდათ ოთახიდან, მოხდა მასზე დაკვირვება არაერთხელ და ასეთი უცნაური კითხვაც, თუ რა ერქვა მას, თუ შეეძლო განემარტა მისი სახელი და გვარი, რაზეც მისი გაოცება გამოიწვია, რატომ უსვამდნენ ამ კითხვას, თუ თქვენ არ იცით ჩემი სახელი და გვარი, შესაბამისად, როგორ მოხვედით ჩემს საცხოვრებელ სახლში და მოახდინეთ ჩემი დაკავება ჩემი მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებითო, – აღნიშნა ადვოკატმა.

სპეცოპერაციის შეცდომით ჩატარებაზე საუბრობს თემირლან მაჩალიკაშვილის დედა მედიკო მარგოშვილიც. ის ვარაუდობს, რომ ვიღაცამ შეცდომა იმ სახელის გამო დაუშვა, რომელსაც მის შვილსა და რუსლან ალდამოვს ბავშვობაში ეძახდნენ.

– მე სპეცოპერაციის დღიდანვე რაღაცას ვეჭვობდი, ჩემს შვილსაც თემირლანსაც თემოს ეძახდნენ და ამ რუსლანსაც ბავშვობაში.

ეჭვები მებადებოდა, ხომ არ შეეშალათ, ან ის რატომ უნდა მოეკლათ, მოკვლით არავინ არ უნდა მოეკლათ... იმ ღამესვე ვუთხარი, თქვენ ან მისამართი შეგეშალათ, ცრუ ინფორმაცია გაქვთ, შვილო, ჩვენ მარტო ვჩხრეკთო. რამდენიც გინდათ, გაჩხრიკეთ, მე წინააღმდეგი არა ვარ...

ამათ ჩემს ოჯახში, ჩემ თვალწინ, ჩემს სახლში გააკეთეს ტერაქტი, ტერაქტი სხვაგან არა ყოფილა, ჩემს სახლში მოხდა ტერაქტი, – ამბობს მედიკო მარგოშვილი.

მის ოჯახში სპეცოპერაციის შეცდომით ჩატარებაზე თავიდანვე საუბრობდა მალხაზ მაჩალიკაშვილი. სპეცოპერაციისას დაღუპულის მამა დამნაშავის დასჯას ითხოვს. მისი აზრით, პასუხი სუსის მაღალჩინოსნებმაც უნდა აგონ.

– რა იმედი უნდა მქონდეს ამ მთავრობის, თუ ამათ ეშლებათ. ამ დონეზე თუ ეშლება სახელმწიფოს, სხვა ვიღაც უნდა მოეკლათ, მოდიან და 19 წლის უდანაშაულო ბავშვს მიკლავენ. ალდამოვის განცხადება მოვისმინე, ალბათ აქვს მაგას რაღაც საბაბი, ასეთი რამ რომ განაცხადოს. პირველი დღიდან ვამბობდი, მაგათაც ვეუბნებოდი, თქვენ არასწორად მოხვედით, მისამართი ან შეგეშალათ, ან რაღაც სხვაშია საქმე. მერე რომ გავიგე, შუბლში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი, მაშინ ვთქვი – ან ამ ხალხს ვიღაცაში შეეშალა, ან შეეშინდა.

დაისაჯოს საქვეყნოდ გომელაური, მთლიანი მაგისი ჯგუფი და ეს სპეცრაზმი, ვინც ამ ბინძური ფეხებით შემოვიდა ჩემს სახლში. ივანიშვილმა და ივანიშვილის მთავრობამ ამქვეყნად დარჩენილი ჩემი სიცოცხლე ჯოჯოხეთად მიქციეს. ამ ჯოჯოხეთის გზას მე გავივლი. კანონის ფარგლებში ამ ყველაფერს ყველას ვაზღვევინებ, – აცხადებს თემირლან მაჩალიკაშვილის მამა.

თავისი შვილის უდანაშაულობაში დარწმუნებულია რუსლან ალდამოვის დედაც. დალი ალდამოვი ამბობს, რომ მისი შვილი ახმედ ჩატაევს საერთოდ არ იცნობდა.

– ჩემი შვილი უდანაშაულოა და არ ვიცი, რატომ ჰყავთ დაკავებული. ის ვიცი, რომ მას ჩატაევთან კავშირი არ ჰქონია. აქ სპეცოპერაციის ღამეს სულ სხვა რამეს ეკითხებოდნენ და იქ სხვა რამეს ეკითხებიან. არ ვიცი, ჩემი შვილისთვის უნდა ესროლათ თუ სხვისთვის. ან ჩემი შვილისთვის ან ვინმესთვის რატომ უნდა ესროლათ? როგორ შეიძლება ასეთი მეთოდების გამოყენება, – განუცხადა ინტერპრესნიუსს დალი ალდამოვმა.

* * *

რუსლან ალდამოვის სკანდალურ განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობაშიც გამოეხმაურნენ.

დეპუტატ სოფო კილაძის თქმით, ალდამოვის განცხადება მის ეჭვებს გამოხატავს და არგუმენტირებული არ არის:

– ეს ეჭვები რას ეფუძნებოდა, ცოტა გაუგებარი იყო ჩემთვის, რაღაც ბუნდოვანი იყო ძალიან. თუ უფრო კონკრეტულ მტკიცებულებებს წარმოადგენენ და უფრო ნათელს მოჰფენენ ამ საქმეს, რა თქმა უნდა, ჩვენც უფრო გაგვიადვილდება დასკვნის გამოტანა, მაგრამ იქიდან, რაც მოვისმინეთ, ჩემთვის პირადად არ იყო ძალიან დამაჯერებელი, – აღნიშნა სოფო კილაძემ.

შორენა მარსაგიშვილი

# საქართველოში, შესაძლოა, ამერიკული სამხედრო ბაზა განთავსდეს

## გოჩა მირცხულავა: „რუსეთი ჩვენს დაბომბვას ველარ გაბედავს"

რა შეცდომები დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკასთან ურთიერთობაში, რა სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ქურთისტანში მიმდინარე პროცესები, რატომ აღარ უნდა გვეშინოდეს რუსეთის? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.



**გოჩა მირცხულავა:**

– საქართველოდან ახლოს, რამდენიმე ასეულ კილომეტრში, მსოფლიოს ყველაზე ცხელი წერტილი წარმოიქმნა. ქართული დიპლომატია და ქართველი ობივატელი იშვიათად იყურება ამ მიმართულებით. მაგრამ ის, რაც ამჟამად ქურთისტანში ხდება, სწორი ხედვის, გადაწყვეტილებებისა და ინტერესების სწორად შეჯერების შემთხვევაში საქართველოსთვის, შესაძლოა, ძალიან სასარგებლოც კი აღმოჩნდეს.

ქართული დიპლომატია და ზოგადად, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ძნელად იჩენს ინიციატივებს და ყველა საგარეო პოლიტიკური მიღწევა, შესაძლოა, პარტნიორების იძულებადაც კი მივიჩნიოთ. თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ისტორიული შანსი თავად მოგვადგა კარზე და ახლა ჩვენი გადასაწყვეტია, ამ კარს გავაღებთ თუ არა და კარსმომდგარ სტუმარს ვაიძულებთ ჩვენთან შემოსვლას თუ თვალს მოვარიდებთ და ჩავრჩებით უპერსპექტივობაში.

***– რა ისტორიულ შანსზე საუბრობთ?***

– თურქეთმა ქურთისტანში სამხედრო ოპერაცია დაიწყო. ქურთების წინააღმდეგ დაწყებული საჰაერო და სახმელეთო ოპერაცია ორ მნიშვნელოვან ფაქტს ადასტურებს: პირველი – სწორედ ამ ოპერაციისთვის გაჩნდა სიამტკბილობა ანკარასა და მოსკოვს შორის და მეორე – ეს ოპერაცია ადასტურებს, რომ თურქეთმა აშშ-ს დიპლომატიური და პოლიტიკური სილა გააწნა. რუსეთისა და ირანის ინტერესები, რომელიც ასევე ფაქტია, რომ კრემლმა განაწყო ანკარას მიმართ კეთილად, ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს. არც ირანს ეპიტნავება ქურთების რესპუბლიკა, ხოლო რუსეთს თურქეთის სახით რეგიონში სირიისთვის მოკავშირე სჭირდება.

საკმაოდ ჩახლართულ კონფიგურაციაში ყველაფერი თითქოს დალაგდა. რეგიონში ახლა უპირობო მოკავშირეების განლაგება ასე გამოიყურება: ერთი მხრივ, თურქეთი-რუსეთი-ირანი-სირია, მეორე მხრივ – ისრაელი-აშშ-საუდის არაბეთი. შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენოს, რომ ძალთა თანაფარდობა ანტიქურთული კოალიციის მხარეს არის, თუმცა ეს საკმაოდ სათუო და არაარგუმენტირებული მსჯელობა იქნება.

როდესაც, ერთი მხრივ, ანტიქურთულ კოალიციაზე ვსაუბრობთ, მეორე მხარეს – აშშ-ის გვერდით – დგას ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომელსაც თურქეთის პრეზიდენტი ნამდვილად არ უწევს ანგარიშს, მაგრამ გამორიცხულია, რომ ალიანსმა აშშ მინიმუმ პოლიტიკური თანადგომის გარეშე დატოვოს.

თუმცა ამ დაპირისპირებაში, ვგულისხმობ თურქეთისა და აშშ-ის დაძაბულ ვითარებას, ერთი რამ ნამდვილად ცხადია – ანკარასა და ვაშინგტონის ურთიერთობის დათბობას დიდი დრო დასჭირდება. პირიქით, მოსალოდნელია ვითარების კიდევ უფრო დაძაბვა.

დააკვირდით თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ რელიზს ტრამპისა და ერდოღანის სატელეფონო საუბრის შესახებ და ყველაფერი ნათელი გახდება. ერდოღანი, რომელმაც აბსოლუტურად უგულებელყო ქემალ ათათურქის პრინციპები, რაც გახლდათ დასავლეთისა და თურქეთის ურთიერთობის ქვაკუთხედი, რეალურად ვაბანკზე მიდის. ახლა ერდოღანისთვის მიმდინარეობს უმთავრესი ბრძოლა მისი პოლიტიკური ცხოვრების პერიოდში. მას სურს, რომ მსოფლიოსა თუ რეგიონის ახალი გადანაწილების პროცესში უმთავრესი როლი ჰქონდეს.

თეთრი სახლი ჯერ კიდევ ერაყის კამპანიიდან მოყოლებული მხარს უჭერს ქურთებს და მფარველობს მათ. ეს ყოველთვის იწვევდა ანკარის გაღიზიანებას. თუმცა, ასე ღია და მასშტაბურ დაპირისპირებამდე საქმე არ მისულა, მიუხედავად ლოკალური და მცირემასშტაბიანი შეიარაღებული კონფრონტაციისა.

დღითიდღე ცხადი ხდება, რომ აშშ-ს ინჯირლიყის ბაზის საპირწონე ბაზა სჭირდება და საქართველოს ალტერნატივა ამ მხრივ არ აქვს. არც ყატარის და არც ქუვეითის სამხედრო ბაზები, არც მეექვსე ფლოტი რეგიონის გამოწვევებსა და უსაფრთხოებას ვერ აკმაყოფილებს. მოკლედ, შანსი რეალურია, თუ ეს პროცესი თავად საქართველოს ხელისუფლებამ არ ჩაშალა. არადა, აშშ-ის ბაზის არსებობა საქართველოში ქართული სახელმწიფოსთვის მრავალმხრივ მომგებიანი იქნებოდა.

ცხელი წერტილი საქართველოს საზღვრიდან სულ რაღაც 300-350 კილომეტრშია და საქართველოს მოსახლეობა და, ვგონებ, პოლიტიკური სპექტრიც ვერ აცნობიერებს ამ პროცესს.

***– როგორ შეხვდება რუსეთი პროცესების ასე განვითარებას?***

– გაბრაზდება, მაგრამ ცივი წყლის დალევა მოუწევს.

***– რატომ მოუწევს ცივი წყლის დალევა?***

– სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულებით, რუსეთის საქმე არ არის ის, რა ხდება საქართველოს ტერიტორიაზე. სწორედ ამ ხელშეკრულების გამო მოუწია კრემლს ეცქირა, თუ როგორ გადაადგილდებოდა მარშირებით ფოთიდან თბილისამდე აშშ-ის სამხედრო ტექნიკა და სამხედრო მოსამსახურეები და ერთი საპროტესტო განცხადებაც ვერ გააკეთა.

ესეც არ იყოს, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს ნების გარეშე რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზებს აშენებს, საქართველოს აბსოლუტურად პრაგმატულად და მეორე მხრიდან ძალდატანების გარეშე შეუძლია დაუთმოს თავის სტრატეგიულ მოკავშირეს საკუთარი სამხედრო ბაზები და ამაზე მოსკოვი ვერც კი დაიჩივლებს. უბრალოდ, საკუთარი უგუნური ქმედებით კრემლი საზღვარს პირობით მოწინააღმდეგესთან, სარფის ნაცვლად, გორთან და ენგურთან გაავლებს და ეს მისი უდიდესი მარცხი იქნება, აღიარებს ამას თუ არა.

რას შეეხება უსაფრთხოებას, რუსეთი ნამდვილად ვერ გაბედავს საქართველოს რომელიმე დასახლებული პუნქტის დაბომბვას იმ შემთხვევაში, თუ აქ აშშ-ის სამხედრო ბაზები განლაგდება. გავითვალისწინოთ ისიც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური თუ კულტურული გარემოსთვის.

ჯერ კიდევ 2016 წლიდან ქართული კულტურული დიპლომატია დღენიადაგ ვაშინგტონში უნდა მჯდარიყო და ეს საკითხი ახლა ფაქტობრივად შემდგარი და დასრულებული უნდა იყოს. და რაკი ჩვენ უინიციატივო და არაპრაგმატული ხელისუფლება გვყავს, შესაბამისად, ახლა ალბათ ის მომენტია, როცა შეთავაზება თავად აშშ-ისგან უნდა წამოვიდეს. ასეთ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რას იტყვის კვირიკაშვილი, ვოლსკი თუ ქანთარია. როგორც იტყვიან, „იეს", იტყვის ივანიშვილი და ამაში 100%-ით ვარ დარწმუნებული.

## დაბა ლაითურში ხანძრის შედეგად ხუთი ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა



26 იანვარს დაბა ლაითურში ორსართულიანი საერთო საცხოვრებლის მეორე სართული მთლიანად დაიწვა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

მომხდარის გამო ხუთი ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა.

ხანძრის გამომწვევ შესაძლო მიზეზად ამ დროისათვის ელექტროენერგია სახელდება.

ადგილზე როგორც ოზურგეთის, ასევე ჩოხატაურისა და ქობულეთის სახანძრო-სამაშველო ბრიგადები მუშაობდნენ.

როგორც ოზურგეთის მერიიდან გვეუბნებიან, ადგილზე დილიდან იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. დაზარალებულები ამ ეტაპზე ნათესავებთან და ახლობლებთან შეაფარებენ თავს, უახლოეს დღეებში კი მათ ქირით გადაიყვანენ, ან ალტერნატიულ ფართს გამოუძებნიან და სამშენებლო მასალებით დაეხმარებიან.

## ხანძარი ბოდბეში — გარდაცვლილია 80 წლის მამაკაცი



კახეთში, ქვემო ბოდბეში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად 80 წლის მამაკაცი დაიღუპა, რომელიც მარტო ცხოვრობდა და ადგილზე მისულ მეხანძრეებს დაღუპული დახვდათ.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

## შსს: „სამართალდამცველებმა ოჯახში ძალადობის ბრალდებით 14 პირი დააკავეს“



შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოჯახში მოძალადე 14 პირი დააკავა, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა ჭელიძემ დღევანდელ ბრიფინგზე განაცხადა.

მამუკა ჭელიძის ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

– ბოლო პერიოდში ათეულობით მოძალადე დავაკავეთ და მომავალშიც, მსგავს ფაქტებზე მყისიერად მოვახდენთ შესაბამის რეაგირებას.

სამართალდამცველებმა, ოჯახში ძალადობის ბრალდებით ლაგოდეხში, რუსთავში, ხაშურში, ნინოწმინდაში, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის და ახალქალაქის რაიონებში ოჯახში ძალადობის ბრალდებით 14 პირი დააკავეს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ახალციხის რაიონის სოფელ წყრუთში მცხოვრებ, 1994 წელს დაბადებულ, ოთხი თვის ორსულ მ.ს.-ს მეუღლემ – 1988 წელს დაბადებულმა ღ.ი.-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 126 პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით.

ასევე დადგინდა, რომ ქალაქ ნინოწმინდაში, 1976 წელს დაბადებულმა ა.თ.-მ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა თავის არასრულწლოვან ძმისშვილს -2001 წელს დაბადებულ კ. თ.-ს, საკუთარ დედას – 1949 წელს დაბადებულ ს. თ.-ს და რძალს – 1981 წელს დაბადებულ მ. თ.-ს. გამოძიება საქართველოს სსკ-ს 126-პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით“ მიმდინარეობს, – განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა.

## ბათუმი-სარფის ავტომაგისტრალზე კლდის ნაწილი ჩამოიშალა



ბათუმი-სარფის ავტომაგისტრალზე, სოფელ კვარიათთან კლდის ნაწილი ჩამოიშალა, რის გამოც გზაზე მოძრაობა გადაიკეტა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა დაზიანდა ერთი ტრაილერი.

## არჩილ თალაკვაძე: „ნარკოპოლიტიკის ისეთ მოდელზე ვმუშაობთ, რომელიც შეამცირებს ნარკოტიკების პრობლემას“



– ჩვენ მთავრობასთან ერთად ვმუშაობთ ნარკოპოლიტიკის ისეთ მოდელზე, რომელიც ქვეყანაში შეამცირებს ნარკოტიკების პრობლემას და ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა არჩილ თალაკვაძემ განუცხადა.

მისივე თქმით, ნარკოპოლიტიკის რეფორმასთან დაკავშირებით, მთავრობასა და პარლამენტს შორის კონსულტაციები მიმდინარეობს.

– რაც შეეხება ნარკოპოლიტიკის რეფორმას, მთავრობასა და პარლამენტს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები. ჩვენ მთავრობასთან ერთად ვმუშაობთ ნარკოპოლიტიკის ისეთ მოდელზე, რომელიც ქვეყანაში შეამცირებს ნარკოტიკების პრობლემას, დაიცავს ჩვენს შვილებს და ახალგაზრდებს ნარკოტიკების ზიანისგან, ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. რაც შეეხება ნარკოდამოკიდებულ პირებს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო მათ დაეხმარება მკურნალობის, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების პროგრამებით. ხოლო პოლიციას კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობა ექნება, რათა ორგანიზებულ ნარკოდანაშაულს და ნარკოტიკების უკანონო გასაღებას ებრძოლოს, – განაცხადა თალაკვაძემ.

## ადვოკატი: „ტერაბანკს“ პასუხისმგებლობა დაეკისრა, დაზარალებულ მეანაბრეს ბანკის მოხელის მიერ დანაშაულებრივი გზით მითვისებული თანხა დაუბრუნოს“



სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ტერაბანკს“ დაეკისრა პასუხისმგებლობა, რომ დაზარალებულ მეანაბრეს ბანკის მოხელის მიერ დანაშაულებრივი გზით მითვისებული თანხა დაუბრუნოს, – ამის შესახებ იურიდიული კომპანია BLB-ის (Business Legal Bureau) იურისტებმა კახა შარაბიძემ და ანა რეხვიაშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

როგორც იურისტებმა აღნიშნეს, დაზარალებული მეანაბრის საჩივრის საფუძველზე დაწყებული გამოძიების შედეგად, პასუხისგებაში მიეცა ამავე ბანკის ერთ-ერთი ფილიალის მმართველი. მათივე განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ „ტერაბანკის“ ფილიალის ყოფილი მმართველი დამნაშავედ ცნო ბანკის კლიენტების კუთვნილი თანხების თაღლითობით დაუფლებისა და უკანონო კრედიტების მიღებაში და მას თავისუფლების 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

როგორც იურისტებმა განაცხადეს, მისმა კლიენტმა 2013 წელს აპრილში „ტერაბანკში“ მის კუთვნილ ანგარიშზე 800.000 აშშ დოლარი განათავსა. ერთი წლის განმავლობაში მას ბანკი მართლაც უხდიდა შეთანხმებულ სარგებელს. ამის შემდეგ, 2014 წლის აპრილამდე, მეანაბრემ შეამცირა მის ანგარიშზე გათავსებული თანხა, ხოლო დარჩენილი თანხა დატოვა „ტერაბანკში“. ადვოკატების განცხადებით, მეანაბრეს მის ამავე ბანკში გახსნილ საბარათე ანგარიშზე მომდევნო თითქმის 2 წლის განმავლობაში ყოველთვიურად, ერთი და იმავე რიცხვში ერიცხებოდა დეპოზიტის შესაბამისი სარგებლის ეკვივალენტური თანხა, რაც მეანაბრეს აფიქრებინებდა, რომ მისი დეპოზიტი უსაფრთხოდ იყო განთავსებული „ტერაბანკში“.

ადვოკატების განცხადებით, 2016 წლის მარტში, როდესაც მეანაბრეს კუთვნილი სარგებლის თანხა აღარ ჩაერიცხა, დაყოვნების გასარკვევად „ტერაბანკში“ მივიდა და აღმოჩნდა, რომ მის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხა ნულის ტოლი იყო, ანუ იგი აღარ ფლობდა მის მიერ ბანკში შეტანილი თანხის არც ერთ თეთრს, თანაც თურმე 2014 წლის აპრილიდან.

ადვოკატ კახა შარაბიძის განცხადებით. შემდგომში გაირკვა, რომ მეანაბრის არაერთი ხელმოწერის გაყალბების გზით, ამავე ბანკის ფილიალის მმართველი მის დეპოზიტს იყენებდა სხვა უკანონო კრედიტების უზრუნველსაყოფად. ადვოკატის თქმით, დაზარალებული მეანაბრის დეპოზიტით კვლავ ყალბი დოკუმენტის შექმნის გზით, დაიფარა დაზარალებულისთვის სრულიად უცნობი 4 პირის სესხი/კრედიტი „ტერაბანკში“. ადვოკატის განცხადებით, ეს კრედიტები, როგორც აღმოჩნდა, გაცემული იყო უკანონოდ ამავე ფილიალის მმართველის ოჯახის წევრებსა და მეგობრებზე.

ადვოკატის თქმით, ჯამში, საბანკო მანიპულაციების, ყალბი დოკუმენტებისა და ხელმოწერების შექმნის გზით „ტერაბანკში“ გაქრა დაზარალებული მეანაბრის მიერ დეპოზიტზე განთავსებული 759.800 აშშ დოლარი ისე, რომ მეანაბრემ ამის შესახებ 2 წლის შემდეგ შეიტყო. მან სასამართლოში იჩივლა და ასევე განცხადება შეიტანა პროკურატურაში.

კახა შარაბიძის განცხადებით, დაახლოებით 2-წლიანი განხილვის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და „ტერაბანკს“ დააკისრა პასუხისმგებლობა – 500.000 დოლარის ოდენობით ეკვივალენტური თანხის, როგორც ძირითადი დავალიანების და 500.000 აშშ დოლარის წლიური 4%-ის სარგებლის გადახდა თანხის სრულ დაფარვამდე. ამასთან, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ამავე ბანკის ერთ-ერთი ფილიალის მმართველს.

– ჩვენ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას ვაპირებთ ციფრების ნაწილში, რადგან მიგვაჩნია, რომ ბანკზე დაკისრებული პირგასამტეხლო უფრო მაღალი უნდა იყოს. ასევე ჩვენ გვაქვს გარკვეული პრეტენზიები ძირითადი თანხის ნაწილში, მაგრამ ძირითადად სასამართლოს გადაწყვეტილება იზიარებს სრულად ჩვენს პოზიციას. ეს საქმე პრეცედენტულია რამდენიმე ფაქტის გამო. პირველი ის, რომ სასამართლომ დაადგინა, რომ ბანკის მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკს. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ბანკი ცდილობდა, ჩვენი კლიენტი იძულებული გაეხადა, რომ მას თავის მოთხოვნაზე უარი ეთქვა და აიძულა, რომ მას ძალიან შორი გზითევლო, როგორიცაა სასამართლო და ა.შ., – განაცხადა შარაბიძემ და დასძინა, რომ ეს არის კარგი გაკვეთილი საზოგადოებისთვის, ბანკებისთვის, რომ მათ თავიანთი პასუხისმგებლობის შინაარსი გაათვითცნობიერონ.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „ტერაბანკი“ ეთანხმება, რომ მისმა მოხელემ ჩაიდინა დანაშაული, „ბანკს მოსწონს დანაშაულის შედეგი, რადგან ამის შედეგად ბანკი დაესაკუთრა კლიენტის – მისი მეანაბრის თანხას, რომლის საბოლოოდ შენარჩუნებას ცდილობს“.

– ჩვენი აზრით, „ტერაბანკის“ ამჟამინდელი მოქმედება, მას აქცევს მისი დამნაშავე მოხელის თანამონაწილედ, ვინაიდან ის ცდილობს დანაშაულის შედეგად დასაკუთრებული თანხის შენარჩუნებას და არა იმას, რომ მისი მოხელის მოქმედებაზე პასუხისმგებლობა აიღოს და დააბრუნოს თანხა უკან. ჩვენი აზრით, „ტერაბანკის“ ამგვარი მოქმედება ზოგადად, საბანკო-საფინანსო სისტემისადმი მომხმარებლის ნდობას არყევს, – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე თქმით, ამ პროცესში უცნაური იყო, თუ როგორ მოიქცნენ ბიზნესკორპორაციები საქართველოში.

– „ტერაბანკმა“ სცადა გვერდით დაეყენებინა როგორც საბანკო, ასევე ბიზნესასოციაციები. ყველამ სცადა, რომ „ტერაბანკს“ გვერდით დადგომოდა. კორპორაციებმა მას „დათვური სამსახური“ გაუწიეს, მაშინ როდესაც, მათ პირიქით, „ტერაბანკისთვის“ უნდა მოეწოდებინათ, რომ ასე არ უნდა მოქცეოდა მეანაბრეს. ამ პროცესში ფიზიკური პირი – მეანაბრე მარტო აღმოჩნდა ძალიან დიდი ფულის, დიდი გავლენების მქონე ბანკებისა და კორპორაციების წინააღმდეგ და ესეც ძალიან სახიფათო და საშიში კომპონენტი იყო, – განაცხადა ადვოკატმა.

კახა შარაბიძის განცხადებით, გარდა ამისა, ამ პროცესში კიდევ ერთი პრეცედენტული რამ მოხდა, კერძოდ, „ტერაბანკმა“ დაარღვია ნებისმიერი კომერციული ბანკის უწმინდესი ვალდებულება – საბანკო საიდუმლოება.

– გაღიზიანდა რა მეანაბრის მოქმედებებით თავისი უფლებების დასაცავად, „ტერაბანკმა“ ჩაატარა პრესკონფერენცია და ჟურნალისტების წინაშე მოყვა ბანკის კლიენტების სახელები და გვარები, მათ ანგარიშებზე თანხების მოძრაობა – ოდენობების და ტრანზაქციების შინაარსის მითითებით. კანონმდებლობის თანახმად, ეროვნულ ბანკს შეუძლია კომერციულ ბანკს პასუხისმგებლობა დააკისროს საბანკო საიდუმლოებების დარღვევის თაობაზე. ჩვენ ვთხოვეთ ეროვნულ ბანკს ამის პრევენცია მოეხდინა – ან გაეფრთხილებინა კომერციული ბანკი, ან დაეჯარიმებინა. ეროვნულმა ბანკმა თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადა. დღეს ჩვენ სასამართლოში გვაქვს დავა. ვედავებით ეროვნულ ბანკს და მას ვთხოვთ, რომ კანონით დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს და მოახდინოს რეაგირება საბანკო საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე. თუ ეს ასე არ მოხდება, არც ერთი მეანაბრე დაცული არ არის, რომ ხვალ ბანკი, რომელიც გაბრაზდება მის კლიენტზე, შეიძლება გამოვიდეს და საჯაროდ დაასახელოს მეანაბრის ვინაობა და მისი ტრანზაქციების შესახებ მოჰყვეს, – განაცხადა ადვოკატმა.

ადვოკატის განცხადებით, მაშინ, როდესაც „ტერაბანკში“ აღმოჩნდა დაზარალებულის (და არა მხოლოდ ერთი დაზარალებულის) – ათეულობით გაყალბებული ხელმოწერით შექმნილი დოკუმენტები და ხელშეკრულებები, მაშინ, როდესაც ამ ბანკის ფილიალის მმართველის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, მაშინ, როდესაც სასამართლომ დაადასტურა, რომ „ტერაბანკმა“ მართლსაწინააღმდეგოდ მიიღო მეანაბრის ანაბარზე განთავსებული თანხა და, შესაბამისად, უკან უნდა დაუბრუნოს მეანაბრეს, ბანკს არ მოუხდია ბოდიში დაზარალებული მეანაბრისთვის, რომელიც მხოლოდ იმის გამო დაზარალდა, რომ ამ ბანკს ანდო თავისი ანაბარი.

## „უცნობის“ სიძე ბიზნესომბუდსმენს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს

„სიტროენ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი გიორგი შარაშიძე ბიზნესომბუდსმენს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მის წინააღმდეგ დაწყებული საქმეების შესწავლას სთხოვს. ამის შესახებ შარაშიძემ ჟურნალისტებს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში შესვლამდე განუცხადა. შარაშიძე უწყებაში ადვოკატთან ერთად გამოცხადდა.



შარაშიძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მისი კომპანია კანონის სრული დაცვით აწარმოებდა სამუშაოებს და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დაინტერესება იმ განცხადებებმა გამოიწვია, რაც ე.წ. კარტელურ გარიგებებს უკავშირდება. მისივე თქმით, უწყებას კონკრეტული მტკიცებულებები, რომელიც „კონსტრაქტ ვიჟენისთვის“ უკანონო საქმიანობას დაამტკიცებს, არ გააჩნია.

– ამათ უნდათ მაფიქრებინონ, რომ დევიდ კოპერფილდი ვარ. ეს ყველაფერი სასაცილოა. ეს ყველაფერი ემსახურება ერთ რამეს, რომ საზოგადოების და მედიის ყურადღება გადაიტანონ მათთვის მტკივნეული საკითხიდან. მივმართავ ბიზნესომბუდსმენს, ამერიკის სახელმწიფო პალატას, საერთაშორისო სამრეწველო პალატას და ბიზნესასოციაციას, ჩაერთონ პროცესებში, რათა ის იყოს გამჭვირვალე, – განაცხადა შარაშიძემ.

შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება მთავრობის განკარგულების საფუძველზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ „კონსტრაქტ ვიჟენისთვის“ გადაცემულ ქონებას.

კომპანიამ ლილოს ტერიტორია ერთი წლის წინ გარკვეული სახის ინვესტიციების განხორციელების პირობით შეისყიდა. შარაშიძის განცხადებით, ვალდებულების შეუსრულებლობა კომპანიის გაკოტრებას უკავშირდება.

## „სილქნეტი“ „ჯეოსელს“ 153 მილიონ დოლარად ყიდულობს

კომპანია „სილქნეტი“ „ჯეოსელს“ 153 მილიონ დოლარად ყიდულობს. ამის შესახებ „სილქნეტმა“ გუშინ ოფიციალურად განაცხადა.

მათი ცნობით, „ჯეოსელის“ აქციონერებთან: თელია Company-სა (STO:TELIA) და Turkcell-თან (NYSE: TKC, IST: TCELL) შეთანხმება უკვე მიღწეულია. ამასთან, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, შესყიდვის დასრულება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ 2018 წლის პირველ ნახევარშია დაგეგმილი.

„სილქნეტის“ ცნობით, საქართველოს ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგების შედეგად სრული სპექტრის სატელეკომუნიკაციო კომპანია იქმნება, რომელიც სილქნეტის ინტერნეტის, საკაბელო ტელევიზიის და ფიქსირებული სატელეფონო კავშირის მომსახურებას „ჯეოსელის“ მობილურ სერვისებთან აერთიანებს.

მათივე ცნობით, გარიგების ღირებულებამ შეადგინა 153 მლნ. აშშ დოლარი. დაფინანსება მოხდება თიბისი ბანკის ქართული და მის მიერ ორგანიზებული რეგიონალური ბანკების სესხითა და სილქნეტის საკუთარი კაპიტალით. ქვეყანაში უმსხვილესი ფიქსირებული ოპერატორი „სილქნეტისა“ და მობილური ოპერატორი „ჯეოსელის“ გაერთიანებით საქართველოში იქ-




მნება სრულმასშტაბიანი სატელეკომუნიკაციო კომპანია.

„სილქნეტი“ Orange Alliance-ის წევრია, რომელიც საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანიების განვითარებასა და მათი სამუშაო ეფექტიანობის ზრდას უწყობს ხელს და მათ საშუალებას აძლევს, მსოფლიო კლასის წამყვანი ოპერატორის გამოცდილებითა და ტექნოლოგიებით ისარგებლონ.

„სილქნეტისა“ და „ჯეოსელის“ გაერთიანება ქართველ მომხმარებელს საშუალებას მისცემს, მიიღოს ინტერნეტი, საკაბელო ტელევიზია, მობილური და ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების კომბინირებული შეთავაზებები, „სილქნეტის“ ექსკლუზიურ კონტენტზე მობილური წვდომის ჩათვლით.

— გარიგება საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ინტეგრირებული სატელეკომუნიკაციო ოპერატორი, რომელიც ფიქსირებულ და მობილურ ქსელებს ფლობს. გაზრდილი მასშტაბი საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან კომპანიის უკეთეს წვდომას უზრუნველყოფს, რაც დამატებითი ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების მუდმივ განვითარების საშუალებას იძლევა. ჩვენი აბონენტები ამის შედეგად კიდევ უფრო დიდ სარგებელს მიიღებენ, ვინაიდან ჩვენი უმთავრესი მიზანია ქართველ მომხმარებელს მივაწოდოთ კიდევ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტები, სერვისები და კონტენტი. მივესალმებით „სილქნეტისა“ და „ჯეოსელის“ მაღალი პროფესიონალიზმითა და კორპორატიული კულტურით გამორჩეული გუნდების შეერთებას. ეს გარიგება აგრძელებს ჩვენი ჯგუფის მრავალწლიან ტრადიციას, რომელიც გულისხმობს საქართველოს ინტეგრირებას დანარჩენ მსოფლიოსთან და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებაში, — განაცხადა „სილქნეტისა“ და მისი დამფუძნებელი კომპანიის „სილქ როუდ ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი რამიშვილმა.

## „ლანცეტის“ მიერ აზერბაიჯანიდან მოწვეული ქირურგ-ტრანსპლანტოლოგის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო



საქართველოს მთავარმა პროკურატურამ კლინიკა „ლანცეტის“ მიერ აზერბაიჯანიდან მოწვეული ქირურგი-ტრანსპლანტოლოგი პასუხისგებაში მისცა.

ამის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი. საგამოძიებო უწყების ცნობით, გამოვლინდა, რომ ექიმი პაციენტისგან მოტყუებით, დიდი ოდენობით თანხის დაუფლებას ცდილობდა.

— საქართველოს პროკურატურამ პაციენტებისგან დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით ჯგუფურად დაუფლებისა და დაუფლების მცდელობის ფაქტზე ბრალდებულად პასუხისგებაში მისცა შპს „ლანცეტის“ დირექტორის მიერ აზერბაიჯანიდან მოწვეული ქირურგი-ტრანსპლანტოლოგი მ.კ. დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.-ზე მდებარე სამედიცინო დაწესებულება შპს „ლანცეტის“ დირექტორმა, რომელსაც სანებართვო მოწმობის შესაბამისად მოპოვებული ჰქონდა ორგანოთა გადანერგვისა და ტრანსპლანტაციის ნებართვა, 2016 წლის დასაწყისში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან მოიწვია ქირურგი-ტრანსპლანტოლოგი მ.კ, რომელსაც არ გააჩნდა საქართველოს სახელმწიფო სერტიფიკატი არცერთ საექიმო სპეციალობაში. მისი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, შპს „ლანცეტის“ დირექტორმა მასმედიისა და სოციალური ქსელის საშუალებით, პაციენტების მოზიდვის მიზნით გაავრცელა განცხადებები და მოამზადა სატელევიზიო სიუჟეტები, რომ თითქოსდა შპს „ლანცეტში“ თურქეთის რესპუბლიკიდან მოწვეული ჰყავდათ ტრანსპლანტაციის დარგის სპეციალისტები და ღვიძლით დაავადებული პაციენტებისთვის ტარდებოდა უფასო კონსულტაციები, რაშიც ასევე დაარწმუნეს გამოკვლევების ჩატარებისა და კონსულტაციის მიღების მიზნით 2016 წლის 12 თებერვალს შპს „ლანცეტში“ მისული საქართველოს მოქალაქეები – გ.ჩ. და კ.კ..

ოპერაციის ჩატარებამდე შპს „ლანცეტის“ დირექტორი ვალდებული იყო, პაციენტების, დონორებისა და მისი ოჯახის წევრებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომლებიც ახლდა ღვიძლის გადანერგვას და ასევე მოეხდინა მათი წარდგენა ტრანსპლანტაციის საბჭოს წინაშე და თანხმობა აეღო ოპერაციის ჩატარებაზე, რაც მის მიერ არ იქნა შესრულებული. კონსულტაციებისა და შესაბამისი გამოკვლევების ჩატარების შემდეგ კ.კ-ს და გ.ჩ-ს კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორმა ფ.ჯ.-მ და ბრალდებულმა მ.კ.-მ მოტყუებით განუცხადეს, რომ თითქოსდა მათ სასწრაფოდ ესაჭიროებოდათ ღვიძლის გადანერგვა და აუცილებელი იყო გადაუდებელი ოპერაცია, რის სანაცვლოდაც პაციენტებისგან მოითხოვეს ოპერაციისთვის საჭირო თანხის დაუყონებლივ გადახდა.

2016 წლის 28 თებერვალს პაციენტმა კ.კ.-მ შპს „ლანცეტის“ ანგარიშზე ჩარიცხა ფულადი თანხა 99.204 ლარის ოდენობით, საიდანაც თანხის ნაწილი 35.000 ლარი ფ.ჯ.-მ გადასცა ბრალდებულ მ.კ-ს, ხოლო მეორე პაციენტთან 2016 წლის 7 მარტს ოპერაციის ჩატარებამდე, დაჩქარებული წესით, კლინიკა „ლანცეტის“ იურისტმა გააფორმა ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ, რომლის შესაბამისადაც პაციენტ გ.ჩ-ს კლინიკის იურისტისთვის 2016 წლის 10 აპრილამდე უნდა გადაეხადა 40.000 აშშ დოლარის ოდენობის თანხა.

ტრანსპლანტაციის საბჭოს მხრიდან ოპერაციის ჩატარებაზე შპს „ლანცეტისთვის“ უარის თქმის მიუხედავად, მ.კ.-ს მიერ 2016 წლის 3 მარტს და 8 მარტს ზემოხსენებულ პაციენტებს ჩაუტარდათ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაცია. სახელმწიფო ლიცენზიისა და ნებართვის გარეშე ჩატარებული ღვიძლის გადანერგვის ოპერაციების შედეგად კ.კ. კლინიკაში გარდაიცვალა 2016 წლის 10 მარტს, ხოლო გ.ჩ. – 2016 წლის 15 მარტს.

გამოძიების მიმდინარეობისას საქმეზე დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის ჩატარებაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოში მოღვაწე ყველა ტრანსპლანტოლოგმა, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ ტრანსპლანტაციის ოპერაციას ან/და აქვთ თეორიული შემხებლობა ხსენებულ სამედიცინო დარგთან. დასკვნის თანახმად, არცერთი პაციენტისთვის ოპერაციის ჩატარება სასწრაფო არ იყო, ხოლო გ.ჩ.-სთვის დასმული ძირითადი დიაგნოზიდან არ დადასტურდა ის დიაგნოზი, რომელზე დაყრდნობითაც უთითებდნენ ბრალდებული მ.კ. და შპს „ლანცეტის“ დირექტორი, რომ ოპერაცია იყო გადაუდებელი და სასწრაფო.

მ.კ. თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, რის გამოც ბრალდების მხარე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში მ.კ.-ს მიმართ გამოცხადდება ძებნა.

მ.კ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით.

აქვე საზოგადოებას შევახსენებთ, რომ შპს „ლანცეტის“ დირექტორ ფ.ჯ.-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა, დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილითა და ამავე კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილით და მას აღკვეთის ღონისძიების სახედ შეფარდებული აქვს პატიმრობა, — ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ქუჩები, სადაც სამარშრუტო ტაქსები მხოლოდ გაჩერებებზე გააჩერებენ

1-ლი მარტიდან თბილისში მოძრავი მიკროავტობუსები 14 ქუჩაზე მხოლოდ ავტობუსების გაჩერებაზე გააჩერებენ. შესაბამის საკითხზე თბილისის საკრებულომ გადაწყვეტილება გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

საკითხი განსახილველად თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ წარმოადგინა. მისივე თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება რუსთავიდან თბილისში მოძრავ სარეისო მიკროავტობუსებსაც შეეხება. მუმლაძის განცხადებით, რუსთავი-თბილისის ხაზზე 300-მდე სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს.

როგორც „ინტერპრესნიუსსთან“ საუბრისას ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა განაცხადა, ამ მიზნით თბილისში შეირჩა 14 ქუჩა, სადაც მიკროავტობუსებს მოუწევთ, მგზავრებისთვის მხოლოდ ავტობუსების გაჩერებებზე გააჩერონ. ამ მიზნით ყვითელი ფერით მონიშვნები გაჩერებებზე უკვე მიმდინარეობს.

— ეს ქუჩებია: მერაბ კოსტავას ქუჩა, ვაჟა-ფშაველას გამზირი, შოთა რუსთაველის გამზირი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ხეივანი, დავით აღმაშენებ-



ლის გამზირი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, ჟიული შარტავას ქუჩა, პეკინის ქუჩა, მარშალ გელოვანის გამზირი, ჯორჯ ბუშის ქუჩა და კახეთის გზატკეცილი. ამ ქუჩებზე უკვე მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ხდება ყვითელი ფერის დატანა, რათა მხოლოდ ავტობუსებმა და მიკროავტობუსებმა გააჩერონ. სამუშაოების დასრულების შემდეგ ახალი რეგულაცია ძალაში 1-ლი მარტიდან შევა, — განაცხადა მამუკა მუმლაძემ.

მისივე თქმით, პირველ ეტაპზე ეს 14 ქუჩა შეირჩა, შემდგომ კი ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება.

— ეს რეგულაცია რუსთავიდან შემოსულ მიკროავტობუსებსაც შეეხება, რომლებიც იმავე ნებართვის ქვეშ არიან, როგორც თბილისის მიკროავტობუსები. როდესაც აღნიშნულ ქუჩებზე მოხვდებიან, მათაც ვალდებულება ექნებათ, რომ მხოლოდ გაჩერებებზე გააჩერონ, — განაცხადა მამუკა მუმლაძემ.

აღსანიშნავია, რომ საპილოტე პროექტის ამოქმედებამდე, თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები დაახლოებით 259 მოსაცდელის ორგანიზებას უზრუნველყოფენ. მათ შორის, მათი გაფართოების კუთხით, შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები გატარდება, რათა ავტობუსებთან ერთად სამარშრუტო ტაქსების გაჩერებამ საგზაო მოძრაობა არ შეაფერხოს.

მარშრუტზე მიკროავტობუსების მიერ მოძრაობის ახალი წესის ადმინისტრირებაში მერიის სამსახურებთან ერთად საპატრულო პოლიცია მიიღებს მონაწილეობას.

## დონალდ ტრამპი დავოსის ფორუმზე: „ჩემი პოლიტიკა სხვა ქვეყნებისგან იზოლირებას არ ნიშნავს“




აშშ-ის პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი დავოსის ეკონომიკურ სამიტზე სიტყვით გამოვიდა.

სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის პარალელურად, იგი აშშ-ის იზოლაციონიზმსაც შეეხო, რაზეც სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერები უკანასკნელი დღეების განმავლობაში პირდაპირ თუ ირიბად საუბრობდნენ.

ტრამპის განცხადებით, საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის აღნიშნულ სახეობას აშშ-სთან შეხება არ აქვს.

— მე მჯერა ამერიკის. როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, აშშ-ს ყოველთვის წინ ვაყენებ. ასევე უნდა მოიქცნენ სხვა ქვეყნის ლიდერებიც. თუმცა იცოდეთ, „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ არ ნიშნავს ამერიკის მარტო ყოფნას, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

## 2017 წელს, სხვადასხვა დარღვევის გამო, 142 სამედიცინო დაწესებულება დაჯარიმდა

2017 წლის განმავლობაში სალიცენზიო, სანებართვო და ტექნიკური რეგლამენტის პირობების დარღვევის გამო, 142 სამედიცინო დაწესებულება დაჯარიმდა. შესაბამისი ინფორმაცია „ინტერპრესნიუსმა“ ჯანდაცვის სამინისტროსგან გამოითხოვა.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, კონკრეტულ დარღვევასთან დაკავშირებით, სამინისტრო წერს ოქმს, ხოლო დაჯარიმების საკითხს შემდეგ უკვე სასამართლო განიხილავს.

კერძოდ, აღნიშნული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს სამინისტროს მიერ სამედიცინო/სააღმზრდელო დაწესებულებებში, სალიცენზიო, სანებართვო, ტექნიკური რეგლამენტის პირობების და სავარაუდო უკანონო საექიმო/სამედიცინო საქმიანობის შემოწმება განხორციელდა 360 (2016 წელს 238 შემთხვევა) შემთხვევაში.

კერძოდ: სალიცენზიო (სანებართვო) პირობების დარღვევისთვის (მათ შორის სააღმზრდელო საქმიანობის პირობების შეუსრულებლობა) ოქმი შედგა 96 შემთხვევაში. აქედან 67 შემთხვევაში სასამართლომ სამედიცინო დაწესე-



ბულების დაჯარიმების გადაწყვეტილება მიიღო (2016 წელს 45).

მაღალი რისკის საქმიანობისთვის (ტექნიკური რეგლამენტი) შედგა ოქმი, ხოლო სამედიცინო დაწესებულება დაჯარიმდა 47 (გასულ წელს 52) შემთხვევაში.

უკანონო საექიმო და სამედიცინო საქმიანობისთვის გასული წლის განმავლობაში 11 ოქმია შემდგარი, ხოლო კლინიკა დაჯარიმდა 7 (გასულ წელს – 10) შემთხვევაში.

სალიცენზიო პირობების განმეორებითი დარღვევისთვის სამედიცინო დაწესებულება დაჯარიმდა 16 (გასულ წელს 4) შემთხვევაში, სამედიცინო/საექიმო საქმიანობის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების (თუ არ არის ლიცენზიის/ნებართვის/ტექნიკური რეგლამენტის პირობა) წესის დარღვევისთვის დაიწერა 6 ოქმი და სამედიცინო დაწესებულებები დაჯარიმდნენ 5 შემთხვევაში.

შესაბამისად, ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან სამედიცინო დაწესებულებების მიმართ დაიწერა 215 ოქმი, საიდანაც სასამართლომ 142 შემთხვევაში მიიღო კლინიკების დაჯარიმების გადაწყვეტილება, 6 შემთხვევაში განხილვა შეწყდა, 23 შემთხვევაში სასამართლომ შენიშვნა მისცა სამედიცინო დაწესებულებას, ხოლო 44 შემთხვევაში განხილვა გრძელდება. გასულ წელს სულ დაიწერა 138 ოქმი, სამედიცინო დაწესებულებები დაჯარიმდნენ 111 შემთხვევაში, განხილვა შეწყდა 4 შემთხვევაში, ხოლო სამედიცინო დაწესებულებებმა შენიშვნა მიიღეს 23 შემთხვევაში.

# „საქართველოში გზების მშენებლობის პროექტები შესაძლოა მნიშვნელოვანი დარღვევებითა და უკანონოდ ხორციელდებოდეს“




საქართველოში მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები შესაძლოა მნიშვნელოვანი დარღვევებით ხორციელდებოდეს

ამის შესახებ „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია – აფბას“ ხელმძღვანელმა შოთა გულბანმა რადიო „კომერსანტთან“ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ხშირად ისმის ჩივილი და წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ განხორციელებული მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები უხარისხოა და მალევე შეკეთებას საჭიროებს, ამას კი, თავის მხრივ, ბიუჯეტიდან სულ უფრო და უფრო მეტი თანხის მობილიზება სჭირდება. „მიმდინარე წელი ამ მხრივ საკმაოდ გამორჩეულია, დაგეგმილია მნიშვნელოვანი თანხების დახარჯვა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. სწორედ ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ განვახორციელოთ კვლევა, რომლის მიზანიც არის მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გამოცხადებული ტენდერებისა და მათი პირობების ჯეროვნად შესრულების საზოგადოებრივი მონიტორინგი.

შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი პირველადი დაკვირვებით იკვეთება ტენდერში მონაწილე კომპანიების არაკეთილსინდისიერი ქმედებები – კომპანიები ტენდერში გამარჯვების მიზნით, პროექტის სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო თანხაზე გაცილებით ნაკლებს სთავაზობენ სახელმწიფოს, რითაც ტენდერის პირობებიდან გამომდინარე, იოლად იმარჯვებენ; შემდგომში, როდესაც პროექტი ველარ ხორციელდება საკმარისი ფინანსური რესურსების არარსებობის გამო, კომპანია აშენებს უხარისხოდ. ამის გარდა, პროექტის დასასრულებლად ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების მობილიზება ხდება საჭირო. არსებობს კითხვები გარემოზე ზემოქმედების არსებული ნორმების არაჯეროვან დაცვასთან დაკავშირებით“, – აცხადებს გულბანი.

– რეალურად, ეს გარემოებები ბევრი მიმართულებით წარმოშობს პრობლემებს – დაუსრულებელი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები აფერხებს საგზაო მოძრაობას და მოსახლეობაში უკმაყოფილების საფუძველია; ბიუჯეტს, საბოლოო ჯამში, ეზრდება ხარჯები; კითხვის ნიშნები ჩნდება სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციასთან დაკავშირებით და არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ ირღვევა სამართლიანი კონკურენციის პირობები და კეთილსინდისიერ კომპანიებს არ ეძლევათ პროექტების სრულყოფილად და ჯეროვნად განხორციელების შესაძლებლობა.

კვლევის პირველ ეტაპზე რამდენიმე მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტით დავინტერესდით და შესაბამისი კითხვებით უკვე მივმართეთ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. უახლოეს მომავალში საზოგადოებას წარვუდგენთ კვლევის პირველად შედეგებს.

შემიძლია გითხრათ, რომ დამაფიქრებელია რუსთავისა და ქობულეთის შემოვლითი გზების, ასევე რიკოთის უღელტეხილის ერთ-ერთი მონაკვეთის მშენებელი ჩინური კომპანიის საქმიანობა, რომელიც ასევე აშენებს მაგისტრალს სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთზე. საუბარია ჩინურ კომპანია „სინოჰიდროზე“. ეს კომპანია სხვადასხვა ქვეყანაში მხილებულია კორუფციასა და არაკეთილსინდისიერ გარიგებებში. კერძოდ, კომპანიას პრობლემები აქვს სომხეთში, ყირგიზეთში, მალაიზიაში, აფრიკასა და ლამის მსოფლიოს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც იგი საქმიანობს. აფრიკის განვითარების ბანკმა ეს კომპანია თაღლითურ გარიგებაში ამხილა და კორუფციის მონუმენტი უწოდა, – განაცხადა შოთა გულბანმა რადიო „კომერსანტზე“.

მისივე თქმით, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება კითხვები თუ რამდენად სწორად, გამართულად და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ახორციელებს საქმიანობას, როგორც ჩინური კომპანია „სინოჰიდრო“, ასევე სხვა ის კომპანიებიც, რომლებიც საქართველოში გზების მშენებლობის პროცესში არიან ჩართულნი.

შოთა გულბანის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებაში, სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციასთან დაკავშირებით და მსგავს მსხვილ და უმნიშვნელოვანეს ინფრასტრუქტურულ ტენდერებში გამარჯვებული კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხთან და ამ კომპანიების ქმედებების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობდეს. თუ რამდენად რეალურ ფაქტებსა და გარემოებებს ეფუძნება ეს კითხვები, ამას უახლოეს მომავალში ორგანიზაცია კვლევის სახით წარუდგენს საზოგადოებას.

# ლომბარდები ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მოექცევა



დაწესებულებებს, რომლებიც 20-ზე მეტ პირზე გასცემენ სესხს, ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ვალდებულება უჩნდებათ.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა მურთაზ კიკორიამ რადიო „პალიტრის“ გადაცემა „საქმეში“ განაცხადა.

კიკორიას განცხადებით, ეროვნულ ბანკს ამ კომპანიებზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით მოთხოვნები დაწესების უფლება ექნება.

– ყველა დაწესებულება, ონლაინსესხის გამცემი თუ სხვა კომპანია, რომელიც 20-ზე მეტ პირზე გასცემს სესხს, ვალდებული იქნება, ეროვნულ ბანკში დარეგისტრირდეს. ამ მიმართულებით ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ უკვე გაწერილია მთელი რიგი ვალდებულებები და ცვლილებების შედეგად ყველა სესხის გამცემი კომპანია, მათ შორის ლომბარდები, ერთიან სტანდარტს დაექვემდებარება. ჩვენი სურვილია, რომ როდესაც დაწესებულება სესხს გასცემს, გაითვალისწინოს მსესხებლის კრედიტუნარიანობა, ანუ შეამოწმოს, რა შემოსავალი აქვს და არის თუ არა გადახდისუნარიანი, – აღნიშნა კიკორიამ.

მისივე თქმით, 2018 წლის 1 სექტემბრამდე ეროვნულმა ბანკმა 20-ზე მეტ პირზე სესხის გამცემ კომპანიებს რეგისტრაციის წესები უნდა განუსაზღვროს, ხოლო რეგისტრაციის ვალდებულება 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება.

# მოქალაქეებს შესაძლოა სავალუტო ჯიხურებში გადაცვლილი თანხის დაბრუნების უფლება გაუჩნდეთ



ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიმართ, შესაძლოა, კანონში გარკვეული ცვლილებები კიდევ შევიდეს. კერძოდ, შესაძლოა, მოქალაქეებს სავალუტო ჯიხურებში ვალუტის გადაცვლის შემდეგ გარკვეულ პერიოდში თანხის დაბრუნების უფლება გაუჩნდეთ.

როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა მურთაზ კიკორიამ რადიო „პალიტრის“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა, დაახლოებით მსგავსი ნორმის შემოღებაზე ფიქრობენ, რაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი სიახლე იქნება.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლიდან „ეროვნული ბანკის“ შესახებ კანონში გარკვეული ცვლილებები შევიდა. ცვლილებათა ნაწილი ვალუტის გადამცვლელ პუნქტებსაც შეეხო. კერძოდ, სებ-ი სავალუტო ჯიხურებს არა მხოლოდ ფულის გათეთრების კუთხით, არამედ სხვა მიმართულებით გააკონტროლებს.

# „ნენსკრა ჰესისთვის“ გასაჩეხი 200 ჰექტარი ტყის აღდგენის ბუნდოვანი ალტერნატივა



– ჰესის აშენების სანაცვლოდ ამხელა ტერიტორიის განადგურება არც ბიომრავალფეროვანი, არც გეოლოგიური და არც ენერგეტიკული თვალსაზრისით არ ღირს, – ამის შესახებ განცხადებას გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, ამჟამად „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე „კომერსანტთან“ აკეთებს. საუბარია, 280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომელსაც „საპარტნიორო ფონდი“ პარტნიორ კორეულ კომპანიაK-Water-თან ერთად სვანეთში, ენგურის შენაკადზე აშენებს.

მედიაში გავრცელებული ონფორმაციის თანახმად, ნენსკრა ჰესის პროექტი სვანეთში 700 ჰექტარზე მეტი ფართობის ტყის საფარის გაჩეხვას ითვალისწინებს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა ზარალი და ზიანი შეიძლება მიაყენოს „ნენსკრა ჰესმა“ გარემოს და რამდენად ღირს აღნიშნული პროექტის განხორციელება?

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელის ნინო ჩხობაძის განცხადებით, ეს არის აბსოლუტურად ხელუხლებელი ხეობა, რომელშიც არის პირვანდელი ტყეები. პროექტის დამტკიცებისა და მოსახლეობის ნებართვის საფუძველზე, გარკვეული ნაწილი უკვე გაჩეხილია, თუმცა ზემო ნაწილში ჯერ კიდევ დარჩენილია ხელუხლებელი ტერიტორია, რომელიც არის დასაცავი ტერიტორია.

– ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, იქ არის ხელუხლებელი გარემო, ანუ ბუნებრივი კორონებია. რელიეფურად იმდენად მძიმეა, რომ თავის დროზე სატყეო მეურნეობებიც კი არ იყო დაშვებული. ტყის პირვანდელი სახე იმდენად არის შენარჩუნებული, რომ ეს ადგილი დაცული ტერიტორიების ქვეშ უნდა მოექცეს. რაც შეეხება გეოლოგიურ მიმართულებას, ეს ტყე იცავდა ჭუბერსა და მიმდებარე ტერიტორიებს, რათა ნენსკრასა და ნაკრას მდინარეებთან ღვარცოფული მოვლენები არ განვითარებულიყო. ცნობილია, რომ იქ არის დაახლოებით 3 მეწყრული ზონა, – განმარტავს ჩხობაძე.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ნენსკრას პროექტის წარმატება ეკონომიკური მომგებიანობის თვალსაზრისითაც ეჭვქვეშაა, რადგან ჰესს აქვს პრობლემა წყალთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, ამ ტერიტორიაზე იქ წყლის დეფიციტია, ამიტომაც პროექტის განხორციელებისთვის ნაკრას ხეობიდან ამატებენ წყალს ნესკრაში.

– როცა წყალი არ გყოფნის და როცა შენ გაქვს გრძელვადიანი პროგნოზი, რომ წყალი შეიძლება არ გქონდეს და როცა ნენსკრას ხეობა არის მყინვარზე დამოკიდებული, მყინვარები კი კატასტროფული სიჩქარით დნება, რამდენად რენტაბელურია იქ ჰესის აშენება, ეჭვი მეპარება. სავარაუდოდ, ეს იქნება არაეფექტური პროექტი, – აცხადებს ჩხობაძე.

ნინო ჩხობაძის მოსაზრებას იზიარებს „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილიც, რომელიც აღნიშნავს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გარკვეული მცენარეების მდგომარეობა გაუარესებულია. ცნობილია, რომ „მწვანე ალტერნატივამ“ ვენის კონვენციის ბიუროში საჩივარიც შეიტანა და საკითხი მარტის დასაწყისში უკვე განიხილება.

როგორც „მწვანე ალტერნატივაში“ აცხადებენ „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არის შემაჯამებელი ხასიათის, სადაც დეტალურად არ არის წარმოდგენილი კვლევის პროცესი. შესაბამისად ვერ დგინდება რეალური სარგებელი, ზიანი ან შედეგი. ეს ფაქტი კი, კიდევ უფრო მეტად აყენებს ეჭვქვეშ არსებულ ვითარებას და იმას, რომ ჰესის აშენება ამ ტერიტორიაზე აუცილებელია.

„კომერსანტი“ დეტალების გასარკვევად „ნენსკრა ჰიდროს“ დაუკავშირდა. როგორც კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი ირინა პეტრიაშვილი აცხადებს, სახელმწიფოს დაკვეთით შვეიცარიულმა კომპანიამ საქართველოს მასშტაბით ჩაატარა მიზანშეწონილობის შეფასებითი კვლევები, რომელთა შედეგადაც შეირჩა კაშხლის მქონე ჰესის ასაშენებლად მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე ნენსკრას ხეობა. ასევე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად ჩატარდა კომპლექსური კვლევები. შექმნილია ტყის საფარის აღდგენის სპეციალური გეგმაც.

პეტრიაშვილი განმარტავს, რომ ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი საქართველოს მთავრობის მიერ იყო ინიცირებული და სახელმწიფო ენერგოსისტემის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია, ჰესის მთავარი დანიშნულება კი ელექტროენერგიის იმპორტის საგრძნობლად შემცირებაა.

„კომერსანტის“ კითხვაზე, სად აპირებს კომპანია ალტერნატიული ტყის საფარის აღდგენას, ირინა პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ კომპანია ჯერჯერობით დეტალებს არ ასაჯაროებს.

როგორც ცნობილია, სადგური ელექტროენერგიის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს, ხოლო პროექტი საბოლოოდ 2021 წელს დასრულდება. მშენებლობას საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული უმსხვილესი იტალიური კომპანიაSalini Impregilo ქართულ კონტრაქტორ სამშენებლო კონსორციუმთან GCC ერთად ახორციელებს. პროექტის ჯამური ღირებულება 1 მლრდ აშშ დოლარია.

# „სოკარი“: „ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც ცოტა და ძალიან ხარისხიანზე უნდა კონცენტრირდეს“



მსხვილ იმპორტიორებს საქართველოს მომავალი მხოლოდ „შვეიცარიად“ წარმოუდგენიათ.

„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ გენერალური დირექტორი ლევან გიორგაძე მიიჩნევს, რომ „ჩვენ არ ვართ ის ქვეყანა, რომელმაც ბევრი და უხარისხო უნდა აწარმოოს, ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც ცოტა და ძალიან ხარისხიანზე უნდა კონცენტრირდეს. პრემიუმ სეგმენტზე უნდა იმუშაოს, შვეიცარიის მსგავსად, შვეიცარული შოკოლადი, საათი, ძვირია, თუმცა მოთხოვნადი. ნიშური სეგმენტი უნდა შემოისაზღვროს ქვეყანამ. ყველაზე იაფი მწარმოებლის ნიშა ჩვენ არ გვაწყობს“.

მისი აზრით, ეგზოტიკურობა პრიორიტეტი უნდა გახდეს და ეს პრივილეგია ყველამ უნდა გაითავისოს.

ლევან გიორგაძე ლოკალურ თუ საერთაშორისო ბრენდინგში, ფუნდამენტზე ამახვილებს ყურადღებას, თავისუფალ რეჟიმზე. საოპერაციო, სავაჭრო, ნებისმიერი მიმართულებით, როგორც კი თავისუფლება იზღუდება, პროცესები გაურკვეველი ხდება, რაც აბრკოლებს ბიზნესს. თავისუფალი რეჟიმი ბაზრის ნებისმიერი გამოწვევაზე სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა, რადგან დროულად გადაეცემა და პრევენციაც დროულად იწყება.

მეწარმისთვის ნებისმიერ სექტორში, დარგის და საქმიანობის მიუხედავად, ექსპორტი იქნება თუ იმპორტი, მთავარია რისკების ადეკვატური შეფასება და ოპტიმალური ბიზნესმოდელით მუშაობა.

# გურჯაანის აგრარულ ბაზარში არსებულ ხორცისა და ყველის განყოფილებებს საწარმოო პროცესი შეუჩერდათ

სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონულმა სამსახურმა გურჯაანის აგრარულ ბაზარში არსებულ ხორცის და ყველის განყოფილებებს საწარმოო პროცესი შეუჩერა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სეს-ის ინსპექტორებმა აგრარულ ბაზარში ჩატარებული შემოწმების შედეგად, კრიტიკული შეუსაბამობები გამოავლინეს, რის გამოც ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა და ყველისა და ხორცის განყოფილებებს საწარმოო პროცესი შეუჩერდა.



მათივე ინფორმაციით, ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუსაბამობების გამოსწორებისთანავე აღუდგება. აგრეთვე, გადამოწმებისას მითითებების შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა თელავის აგრარული ბაზარი.

# აშშ-მ შესაძლოა პალესტინას დახმარება შეუწყვიტოს



პრეზიდენტმა ტრამპმა კვლავ განაცხადა, რომ პალესტინამ ისრაელის წინააღმდეგ ძალისმიერი ოპერაციები უნდა შეაჩეროს. ტრამპმა ხაზი გაუსვა, რომ ყველა სადავო საკითხი მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს.

– თუკი პალესტინელები მშვიდობიან მოლაპარაკებებზე უარს იტყვიან, აშშ მათ ყოველგვარ დახმარებას შეუჩერებს, – განაცხადა ტრამპმა.

# გენერალი ჰოჯელი: „რუსეთზე ზეწოლა უნდა გაძლიერდეს“



აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყოფილმა სარდალმა, გენერალმა ჰოჯელმა განაცხადა, რომ რუსეთს დონბასში 40.000-იანი კონტინგენტი ჰყავს. დონბასელ მოლაშქრეთა შორის რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები დომინირებენ. დონბასში რუსეთის ტაქტიკაა საარტილერო დაბომბვა, უპილოტო თვითმფრინავები, რადიოლოკაციური დაზვერვა.

– რუსეთის რადიოლოკაციური დაზვერვის წყალობით უკრაინელებს რადიოთი თავისუფლად ლაპარაკიც კი არ შეუძლიათ. ნებისმიერი საუბარი შეიძლება ან დაიბლოკოს, ან ჩაახშონ, – აცხადებს ჰოჯელი.

გენერალმა დადებითად შეაფასა აშშ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება უკრაინისთვის ჯაველინების მიწოდების თაობაზე, მაგრამ აღნიშნა, რომ მარტოოდენ ეს არ არის საკმარისი.

– ევროპას, უბრალოდ, წარმოდგენაც კი არ აქვს, თუ რა ძალები გადაისროლა რუსეთმა დონბასში და რა მასშტაბები აქვს რუსულ აგრესიას, – თქვა ჰოჯელმა.

გენერლის აზრით, კონფლიქტი დიპლომატიური საშუალებებით უნდა მოგვარდეს, მაგრამ საამისოდ ორივე მხარე დათმობაზე უნდა წავიდეს. რუსებს ამის გაგონებაც არ სურთ. მოსკოვი კატეგორიულად მოითხოვს, რომ უკრაინამ დონბასს განსაკუთრებული სტატუსი დაუყოვნებლივ მიანიჭოს, ყირიმზე კი ხელი აიღოს.

– აუცილებელია, რუსეთზე ზეწოლა გაძლიერდეს და ის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებს მოიცავდეს, – განაცხადა ჰოჯელმა.

# ბელორუსში მთავარი ოპოზიციური საიტი დაბლოკეს



ბელორუსის ხელისუფლებამ მთავარი ოპოზიციური საიტი „ქარტია-97“ დაბლოკა. ამის თაობაზე საიტის რედაქტორი ნატალია რადინა აცხადებს.

– ბელორუსში ოპოზიციური განწყობილებები იზრდება. ხელისუფლებასაც ახალი საპროტესტო ტალღის ეშინია, – ამბობს რადინა.

„ქარტია-97“-ის რედაქტორის აზრით, ლუკაშენკომ, უბრალოდ, ყველას თავი მოაბეზრა. ის ხომ ხელისუფლებაში 1994 წლიდან იმყოფება. რადინას ცნობით, დღეს ბელორუსში ყველაზე მეტი პოპულარობით პუტინი სარგებლობს, მეორეზე კი მიხეილ სააკაშვილია. პუტინის რეიტინგი 36%-ია, სააკაშვილისა – 35,2%. ლუკაშენკო მხოლოდ მესამე ადგილზეა.

– უკრაინაში სააკაშვილი 10-20-ათასიან მიტინგებს მართავს, მაგრამ მისი რეიტინგი მხოლოდ 4%-ია. უკრაინის პრემიერად ან პრეზიდენტად გახდომის შანსიც ნულის ტოლია. აი, ბელორუსში კი მას რეალური შანსები აქვს, – ამბობს უკრაინის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ინა ბოგოსლოვსკაია.

# იემენის სანაპიროსთან ნავის გადატრიალების შედეგად 30 ადამიანი დაიღუპა



იემენის სანაპიროსთან ნავის გადატრიალების შედეგად 30 ადამიანი დაიღუპა. როგორც მიგრაციის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაცია იუწყება, ნავში 152 მიგრანტი იმყოფებოდა.

უბედური შემთხვევა ქალაქ ადენთან ახლოს მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ნავზე სომალისა და ეთიოპიის მოქალაქეები იმყოფებოდნენ.

– სავარაუდოდ, ნავს კონტრაბანდისტები მართავდნენ, რომლებსაც დევნილებისა და მიგრანტების ჯიბუტიში გადაყვანა სურდათ, – ნათქვამია მიგრაციის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციის განცხადებაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# რას მოიტანს კრიზისი ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში?





შვედებს ომისათვის ამზადებენ

მარიამ მჭედლიშვილი

ევროპელი ანალიტიკოსები კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ დღეს ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში ისეთი კრიზისია, რომელიც არ ყოფილა ცივი ომის დამთავრების შემდეგ. ექსპერტების აზრით, ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილზე არაერთი განცხადება გაუკეთებიათ ტრამპსა და პუტინს, თუმცა სიტუაცია ორ სახელმწიფოს შორის სულ უფრო იძაბება.

ამერიკული გამოცემები არ გამორიცხავენ, რომ 2018 წელს რუსეთი შეეცდება, მთლიანად ან ნაწილობრივ დაიპყროს ბალტიის ქვეყნები – ლატვია, ლიტვა და ესტონეთი. ამისათვის კრემლს 845 ათასი ჯარისკაცი დასჭირდება.

ევროკომისია მიიჩნევს, რომ რუსეთს, სამხედრო აგრესიის გარდა, სხვა სამხედრო იარაღი გაუჩნდა. ესაა ყალბი ინფორმაციის გავრცელება. ცრუ მონაცემებითა და დესტაბილიზაციის გამომწვევი პროპაგანდით კრემლი ცდილობს ევროკავშირის დაშლასა და ევროსკეპტიციზმის გაღვივებას.

რუსეთი ერთ-ერთ საფრთხედ მიაჩნიათ შვედეთში. იქ მოსახლეობაში დასარიგებლად ამზადებენ ბუკლეტებს სახელწოდებით „თუ ომი მიმდინარეობს“. ეს მასალები ხალხს ტერორიზმისაგან, ასევე კიბერშეტევებისა და სტიქიური უბედურებისაგან დაცვაში უნდა დაეხმაროს. ამგვარი ბუკლეტები შვედებს ბოლოს მეორე მსოფლიო ომის დროს დაურიგეს.

რუსეთი, ისევე, როგორც ჩრდილოეთ კორეა და ირანი, აშშ-ის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად, ითვლებიან ვაშინგტონის მოწინააღმდეგეებად. მთავარ საფრთხედ დასახელებულია ჩინეთი.

ანალიტიკოსების პროგნოზით, რუსეთი და ჩინეთი, განსხვავებული ინტერესების მიუხედავად, ამერიკის წინააღმდეგ ალიანსს შეკრავენ. ამერიკის მთავარ მოკავშირედ სამხრეთ-დასავლეთ აზიაში სახელდება იაპონია.

ყველაზე ცხელი მოვლენები ბოლო დღეებში სირიაში ვითარდება. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებმა, ანალიტიკოსების პროგნოზებით, უნდა შეცვალონ ძალთა ბალანსი რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი თავისი სამხედრო ოპერაციით უპირისპირდება ამერიკის ინტერესებს, სპეციალისტები ვაშინგტონ-ანკარას შორის ღია კონფრონტაციას გამორიცხავენ. ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის მთავარი მიზანი ირანის შესუსტებაა. თურქეთი კი ველარ იქნება აშშ-ის მთავარი მოკავშირე რეგიონში.

აზიური მედია ირწმუნება, რომ აშშ-ის პრეზიდენტს ირანის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა აქვს ჩაფიქრებული.

ირანთან 2015 წელს გაფორმებული ბირთვული შეთანხმება ისევ აქტუალურია. თეთრი სახლის ლიდერი დიდი ხანია საუბრობს ამ დოკუმენტის გადასინჯვასა და ირანის მიმართ მოთხოვნების გამკაცრებაზე. დღეს ტრამპის დღის წესრიგშია არა ამ შეთანხმების პირობების შეცვლა, არამედ ირანის საქმიანობის კონტროლის მექანიზმის გარდაქმნა. ამისათვის ტრამპმა ევროპელ მოკავშირეებს ვადა მაისამდე მისცა. მათ ახალი შეთანხმება უნდა შეიმუშაონ.

ევროპელები ამ ინიციატივას თავშეკავებით ხვდებიან. მათ, ამერიკისაგან განსხვავებით, ირანის ეკონომიკაში გრძელვადიანი ინვესტიციები აქვთ ჩადებული. ევროპელი მოკავშირეები შეეცდებიან, არც საკუთარი ინტერესები დააზიანონ და არც ვაშინგტონთან გაიუარესონ ურთიერთობა.

მესამე მსოფლიო ომის ერთ-ერთ შესაძლო კერად სახელდება ჩრდილოეთი კორეა. ექსპერტების თქმით, პენტაგონს ფხენიანის წინააღმდეგ ომის გეგმა მომზადებული აქვს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ელდარ შენგელაია 85 წლისაა



რეჟისორი ელდარ შენგელაია 85 წლისაა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროში საქართველოს სახალხო არტისტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, უამრავი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზის მფლობელისა და არაერთი ორდენის კავალერის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება გაიმართა.

ელდარ შენგელაიას ქართულ კინოში თავისუფლების სიმბოლოსა და სიყვარულის ფორმულის შემქმნელს, სამყაროს შემოქმედს უწოდებენ, რომელიც სავსეა იმ თავისუფლებით, რომელსაც ვერანაირი დაბრკოლება ვერ აფერხებს. მისი გმირები ისწრაფვიან ცისკენ, სწყდებიან შემოსაზღვრულ, ჩაკეტილ რეალობას და გადადიან იმ მდგომარეობაში, სადაც ეგულებათ სრული თავისუფლება, სადაც არ იზღუდება და უკვალოდ არ რჩება სულის არცერთი ბრწყინვალე გაელვება და სადაც ყველაფერი სიყვარულითაა სავსე... ეს ელდარ შენგელაიაა, რომლის შემოქმედებაც ქართულ კინოში მოვლენად იქცა.

ელდარ შენგელაია ქართული კინოს ვარსკვლავ ნატო ვაჩნაძისა და კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას შვილია. იგი შვილია იმ ადამიანებისა, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ კინემატოგრაფში. კინოსადმი უსაზღვრო სიყვარული მომავალ თაობებშიც გაგრძელდა. ელდარ და გიორგი შენგელაიები კინორეჟისორები გახდნენ და ქართულ კინემატოგრაფს არაერთი ღირებული ფილმი შესძინეს.

საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მან პირველი ფილმები, „ლეგენდა ყინულის გულზე“ და „თოვლის ზღაპარი“, მოსკოვში გადაიღო.

„თეთრი ქარავანი“, „მიქელა“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ცისფერი მთები ანუ ტიანშანი“, „ექსპრეს-ინფორმაცია“, „სავარძელი“ – ეს იმ ფილმების ჩამონათვალია, რომლებიც რეჟისორმა შექმნა. ბოლო ფილმი მან რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ გადაიღო.

ელდარ შენგელაია 37 წლის განმავლობაში საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე იყო. ის ქართული კინოს უკვე მომავლად ქცეული დღევანდელობაა, თუმცა მომავალს მომავალი აჩვენებს, რადგან იუბილარი კვლავინდებურად სავსეა შემოქმედებითი ენერგიით, მაყურებელი კი კვლავაც მოუთმენლად ელის მის მორიგ შედევრებს.

# ქართული ფილმი სანდენსის კინოფესტივალის გამარჯვებულია

სანდენსის საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართულმა ფილმმა გაიმარჯვა. თამთა გაბრიჩიძის მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა „სოვდაგარმა“ ჟიურის პრიზი დაიმსახურა.

ინფორმაცია ფილმის კომპოზიტორმა გიგი ვანდერმა, იმავე გიგი პიანომენმა გაავრცელა:

– ასეთი რამ ჯერ არავის მოუგია საქართველოში! ეს არის უდიდესი სიტყვა მსოფლიო კინოინდუსტრიაში – 2-ლარიანი ბიუჯეტით სანდენსის ფესტივალი მოვიგეთ! სხვათა შორის, პირველი კომპოზიტორი ვარ, რომელმაც ეს ფესტივალი ამ ფილმის ხარჯზე მოიგო. ასე რომ, რეჟისორი დაიმახსოვრეთ, მან ეს შეძლო. თამთა გაბრიჩიძე.

თამთა გაბრიჩიძის ფილმმა „სოვდაგარმა“ კანადაში გამართულ საერთაშორისო ფილმების კონკურსზეც გაიმარჯვა და მოკლემეტრაჟიანი ფილმების ნომინაციაში პირველობა არავის დაუთმო.







# თეიმურაზ გუგუშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან




ოპერის მომღერალ თეიმურაზ გუგუშვილს 4 თებერვალს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან.

ვარსკვლავის გახსნამდე ჩატარდება მომღერლის შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი საოპერო მომღერლები: თამარ ივერი, სულხან გველესიანი, თამაზ საგინაძე, ვანო გალუაშვილი, ვახტანგ ჯაშიაშვილი, გიორგი ჭელიძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და ორკესტრი, რომელსაც ბელარუსი მაესტრო ვიქტორ პლოსკინა უდირიჟორებს.

საკონცერტო პროგრამაში შესრულდება ჯაკომო პუჩინის „ტოსკა“, პირველი მოქმედება და რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზები“, მეორე მოქმედება.

ვარსკვლავის გახსნა თემურ გუგუშვილს თამარ ივერმა მიულოცა:

– სულითა და გულით ვულოცავ ბატონ თემურს ამ დამსახურებულ ჯილდოსა და სახალხო აღიარებას. ყველამ ვიცით, რომ მართლაც ფენომენალურია მისი ფიზიკური თუ ვოკალური შესაძლებლობები. უკვე რამდენი ათეული წელია, მისი ვოკალური საშემსრულებლო ტექნიკა და დონე ურყევია, რაც მის მაღალპროფესიონალურობაზე მიუთითებს. ის კიდევ მრავალი წელი იქნება მის ჩვეულ „ტოპ ფორმაში“ და ალბათ..... დაამკვიდრებს ვოკალური დღეგრძელობის გამოთქმას... „გუგუშვილის ფენომენი“... მახსოვს, ჯერ კიდევ სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლე ვიყავი, მამას რომ დავყავდი ოპერის თეატრში და... ბატონი თემური უკვე წამყვანი მომღერალი იყო. მას ცხოვრების განმავლობაში უამრავი მსოფლიო მიწვევა ჰქონდა ევროპაში, შეეძლო, ფუფუნებაში განეგრძო კარიერა, მაგრამ მახსოვს, მითხრა: რას ამბობ, ყოველდღე ჩემს ქუჩაზე რომ არ ავიარო... ცუდად გავხდები. დიდი-დიდი, ერთიორი კვირა დავტოვო ჩემი უბანიო. ასეთი ადამიანები ათმაგად დასაფასებლები არიან, ასევე უსაზღვროდ აფასებდა მას, როგორც მეგობარსა და პროფესიონალს მამაჩემი და მეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი მის პერსონალურ მიწვევას, ჩამოვსულიყავი და მემღერა მასთან ერთად მისი პიროვნებისა და შემოქმედების ამ დიდ დღესასწაულზე! ვულოცავ მას ამ დიდ ჯილდოს და დაფასებას და ვუსურვებ, კვლავაც მრავალი წელი ესიამოვნებინოს ქართველი პუბლიკა თავისი ოქროს ყელით.

თემურ გუგუშვილის ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-70 ლარია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# გოგა ბითაძე: „თბილისურ მატჩებს მოუთმენლად ველი“



ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი გოგა ბითაძე ევროპულ პრესაში პოპულარული გახდა. 18 წლის ცენტრს, რომელსაც დებიუტი საქართველოს ეროვნულ გუნდშიც ჰქონდა, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ბითაძესთან ინტერვიუ ფიბას ვებგვერდზე გამოქვეყნდა, საუბარი კი მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ქართველ კალათბურთელთა ასპარეზობას შეეხო.

– ახალგაზრდა კალათბურთელთა განვითარებისთვის საუკეთესო საშუალება გამორჩეულ ოპონენტებთან ჭიდილია. ასე ხდება გოგა ბითაძის შემთხვევაში, რომელიც მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის კვალიფიკაციაში ევროპის რჩეულ ცენტრებთან დაპირისპირებაში იწრთობა. ბითაძეს, რომელიც 19 წლის 2 ივლისს ხდება, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი გასული წლის ნოემბრის ფანჯრის დროს ჰქონდა, როდესაც ქართველები გერმანიაში 70:79 დამარცხდნენ, სერბეთში კი – 87:105. ორივე გასულ მატჩში გოგას პირისპირ გამოცდილი კალათბურთელები იდგნენ. გერმანიაში, მაიკ ზირბესთანა და ისაია ჰარტენშტეინთან პაექრობისას, ბითაძემ 4-დან 1 ორქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო და 4 ქულას 3 მოხსნა, 1 დაფარება და 1 პასი წაამატა, თუმცა 17 წუთში 5 პერსონალური ფოლი მიიღო და მოედნის მალევე

გაგრძელება მე-9 გვერდზე


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ევროპაში უქმეებზე ინგლისი უქმობს

## სტატისტიკა, ფსონები



**მომავალ უქმეებზე ინგლისი ისვენებს – ნისლიან ალბიონზე ასოციაციის თასის მატჩებია. სხვა ჩემპიონატებიდან გამოსარჩევია ვალენსია-რეალის დაპირისპირება ესპანეთში, მილანი-ლაციო – იტალიაში და მარსელი-მონაკო – საფრანგეთში.**

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.01 დეპორტივო-ლევანტე | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 27.01 ვალენსია-რეალი | 4.5 | 4.5 | 1.61 |
| 27.01 მალაგა-ხირონა | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 27.01 ვილიარეალი-სოსიედადი | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 28.01 ლეგანესი-ესპანიოლი | 2.3 | 3.0 | 3.4 |
| 28.01 ატლეტიკო-ლას პალმასი | 1.17 | 7.0 | 17.0 |
| 28.01 სევილია-ხეტაფე | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 28.01 ბარსელონა-ალავესი | 1.07 | 12.0 | 23.0 |
| 29.01 სელტა-ბეტისი | 1.75 | 3.8 | 4.33 |

**დეპორტივო-ლევანტე**

დეპორტივო: ტრავმ-რაულ რედალი, ფედე კარტაბია

ლევანტე: ტრავმ-რაული, ტონო, ალექს ალეგრია, ივან ლოპესი

**ვალენსია-რეალი**

ვალენსია: ტრავმ-კარლოს სოლერი, ჯეისონ მულიო

რეალი: ტრავმ-ხესუს ვალიეხო

**მალაგა-ხირონა**

მალაგა: ტრავმ-ადალბერტო პენარანდა, დიეგო როლანი, ხუანკარი

ხირონა: ტრავმ-კრისტიან სტუანი, პედრო ალკალა

**ვილიარეალი-სოსიედადი**

ვილიარეალი: ტრავმ-რობერტო სორიანო, რუბენ სემედო, ნიკოლა სანსონე, ლეო სუარესი, ანდრეს ფერნანდესი

სოსიედადი: ტრავმ-დავიდ ზურუტუზა, ინიგო მარტინესი

**ლეგანესი-ესპანიოლი**

ლეგანესი: ტრავმ-მაურო, ალექსანდერ შინამოვსკი

ესპანიოლი: ტრავმ-პაბლო პიატი, ხოსე მანუელ ხურადო

**ატლეტიკო-ლას პალმასი**

ატლეტიკო: ტრავმ-ფელიპე ლუისი

ლას პალმასი: ტრავმ-მომო ფიგუერა, პედრო ბიგასი, სერხი სამპიერი, მიჩელი

**სევილია-ხეტაფე**

სევილია: ტრავმ-სიმონ კიაერი, დანიელ კარიკო, ნიკოლას პარეხა

ხეტაფე: ტრავმ-დამიან სუარესი

**ბარსელონა-ალავესი**

ბარსელონა: ტრავმ-ოსმან დემბელი, ფელიპე კოუტინიო

ალავესი: ტრავმ-ბურგუი, ექტორი

**სელტა-ბეტისი**

სელტა: ტრავმ-არავინ

ბეტისი: ტრავმ-ანტონიო ბარაგანი, ანტონიო სანაბრია, ჯოელ კემბელი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 17 | 3 | 0 | 57:9 | 54 |
| 2.ატლეტიკო | 20 | 12 | 7 | 1 | 29:9 | 43 |
| 3.ვალენსია | 20 | 12 | 4 | 4 | 41:21 | 40 |
| 4.რეალი | 19 | 10 | 5 | 4 | 39:18 | 35 |
| 5.ვილიარეალი | 20 | 10 | 4 | 6 | 28:22 | 34 |
| 6.სევილია | 20 | 10 | 2 | 8 | 26:28 | 32 |
| 7.სელტა | 20 | 8 | 4 | 8 | 35:28 | 28 |
| 8.ბეტისი | 20 | 8 | 3 | 9 | 33:41 | 27 |
| 9.ხეტაფე | 20 | 7 | 6 | 7 | 25:20 | 27 |
| 10.ხირონა | 20 | 7 | 6 | 7 | 29:29 | 27 |
| 11.ეიბარი | 20 | 8 | 4 | 8 | 25:32 | 28 |
| 12.ბილბაო | 20 | 6 | 8 | 6 | 23:22 | 26 |
| 13.ლეგანესი | 19 | 7 | 4 | 8 | 17:19 | 25 |
| 14.ესპანიოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 16:25 | 24 |
| 15.სოსიედადი | 20 | 6 | 5 | 9 | 34:36 | 23 |
| 16.ალავესი | 20 | 6 | 1 | 13 | 16:29 | 19 |
| 17.ლევანტე | 20 | 3 | 9 | 8 | 16:28 | 18 |
| 18.დეპორტივო | 20 | 4 | 4 | 12 | 22:44 | 16 |
| 19.ლას პალმასი | 20 | 4 | 2 | 14 | 16:47 | 14 |
| 20.მალაგა | 20 | 3 | 3 | 14 | 14:34 | 12 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.01 ბაიერნი-ჰოფენჰაიმი | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 27.01 შტუტგარტი-შალკე | 2.75 | 3.2 | 2.6 |
| 27.01 ლაიპციგი-ჰამბურგი | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 27.01 დორტმუნდი-ფრაიბურგი | 1.44 | 4.5 | 7.0 |
| 27.01 კიოლნი-აუგსბურგი | 2.7 | 3.2 | 2.62 |
| 27.01 ვერდერი-ჰერტა | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 28.01 ლევერკუზენი-მაინცი | 1.44 | 4.75 | 6.5 |
| 28.01 ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2.25 | 3.4 | 3.1 |

**ბაიერნი-ჰოფენჰაიმი**

ბაიერნი: ტრავმ-მატს ჰუმელსი, დავიდ ალაბა, მარკო ფრიედი, ტიაგო ალკანტარა, მანუელ ნოიერი

ჰოფენჰაიმი: ტრავმ-ფელიქს პასლაკი, კერემ დემირბეი

**შტუტგარტი-შალკე**

შტუტგარტი: ტრავმ-ებენეზერ ოფორი, მატიას ციმერმანი

შალკე: ტრავმ-ფაბიან რეესე

**ლაიპციგი-ჰამბურგი**

ლაიპციგი: ტრავმ-ემილ ფორსბერგი

ჰამბურგი: ტრავმ-იან-ფიტე არპი, უოლოსი, ალბინ ეკდალი, ნიკოლაი მიულერი

**დორტმუნდი-ფრაიბურგი**

დორტმუნდი: ტრავმ-პიერ-ემერიკ ობამეიანგი, რაფაელ გურეირო, მარსელ შმელცერი, მაქსიმილიან ფილიპი

ფრაიბურგი: ტრავმ-იორიკ რავე, ონურ ბულუტი, ნიკოლას ჰოფლერი, ფილიპ ლენჰარტი, მაიკ ფრანტცი, ფლორიან ნიდერლეჰნერი

**კიოლნი-აუგსბურგი**

კიოლნი: ტრავმ-ტიმ ჰანდვერკერი, პაველ ოლკოვსკი, ბირკ რისა, კონსტანტინ რაუხი, ტიმო ჰორნი, ლეონარდო ბიტენკურტი, დომინიკ მარო, ჯონ კორდობა, მარსელ რიისე

აუგსბურგი: ტრავმ-კონსტანტინოს სტაფილიდისი

**ვერდერი-ჰერტა**

ვერდერი: ტრავმ-ფინ ბარტელსი

ჰერტა: ტრავმ-რან იარშტეინი, კარიმ რეკიკი

**ლევერკუზენი-მაინცი**

ლევერკუზენი: ტრავმ-არავინ

მაინცი: ტრავმ-რენე ადლერი

**ჰანოვერი-ვოლფსბურგი**

ჰანოვერი: ტრავმ-სებასტიან მაიერი, პირმინ შვეგლერი, ჯონათასი, ფელიპე

ვოლფსბურგი: ტრავმ-პოლ ნტეპი, ჯონ ბრუკსი, იაკუბ ბლაჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 19 | 15 | 2 | 2 | 44:14 | 47 |
| 2.ლევერკუზენი | 19 | 8 | 7 | 4 | 39:27 | 31 |
| 3.შალკე | 19 | 8 | 7 | 4 | 30:25 | 31 |
| 4.ლაიპციგი | 19 | 9 | 4 | 6 | 31:28 | 31 |
| 5.გლადბახი | 19 | 9 | 4 | 6 | 30:30 | 31 |
| 6.დორტმუნდი | 19 | 8 | 6 | 5 | 40:25 | 30 |
| 7.აინტრახტი | 19 | 8 | 6 | 5 | 24:20 | 30 |
| 8.აუგსბურგი | 19 | 7 | 6 | 6 | 28:25 | 27 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 19 | 7 | 6 | 6 | 29:27 | 27 |
| 10.ჰანოვერი | 19 | 7 | 6 | 6 | 28:29 | 27 |
| 11.ჰერტა | 19 | 6 | 7 | 6 | 27:27 | 25 |
| 12.ფრაიბურგი | 19 | 5 | 8 | 6 | 20:33 | 23 |
| 13.ვოლფსბურგი | 19 | 3 | 11 | 5 | 22:24 | 20 |
| 14.შუტუგარტი | 19 | 6 | 2 | 11 | 16:24 | 20 |
| 15.მაინცი | 19 | 5 | 5 | 9 | 24:33 | 20 |
| 16.ვერდერი | 19 | 3 | 7 | 9 | 16:25 | 16 |
| 17.ჰამბურგი | 19 | 4 | 3 | 12 | 15:28 | 15 |
| 18.კიოლნი | 19 | 3 | 3 | 13 | 14:33 | 12 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.01 სასუოლო-ატალანტა | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 27.01 კიევო-იუვენტუსი | 8.0 | 4.8 | 1.36 |
| 28.01 სპალი-ინტერი | 5.0 | 3.8 | 1.67 |
| 28.01 ნაპოლი-ბოლონია | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 28.01 ფიორენტინა-ვერონა | 1.3 | 5.5 | 9.5 |
| 28.01 ჯენოა-უდინეზე | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 28.01 ტორინო-ბენევენტო | 1.44 | 4.2 | 7.0 |
| 28.01 კროტონე-კალიარი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 28.01 მილანი-ლაციო | 2.4 | 3.4 | 2.87 |
| 28.01 რომა-სამპდორია | 1.4 | 4.6 | 7.5 |

**სასუოლო-ატალანტა**

სასუოლო: ტრავმ-დომენიკო ბერარდი, ტიმო ლეჰერტი

ატალანტა: ტრავმ-ალესანდრო ბასტონი

**კიევო-იუვენტუსი**

კიევო: ტრავმ-რობერტო ინლესე, ალესანდრო გამბერინი, ნენად ტომოვიჩი, რიკარდო მაჯორინი, ლუკას კასტრო

იუვენტუსი: ტრავმ-კლაუდიო მარკიზიო, ფედერიკო ბერნანდესკი, პაულო დიბალა, ხუან კუადრადო, ჯანლუიჯი ბუფონი

**სპალი-ინტერი**

სპალი: ტრავმ-ბარტოშ სალამონი, ფრანჩესკო ვიკარი, მარკო ბორიელო

ინტერი: ტრავმ-ანდრეა რანოკია, დანილო ამბროზინი, მარსელო ბროზოვიჩი

**ნაპოლი-ბოლონია**

ნაპოლი: ტრავმ-ჟორჟინიო, არკადიუშ მილიკი

ბოლონია: ტრავმ-ერიკ პულგარი, საფირ ტაიდერი, ანტონიო მირანტე, როდრიგო პალასიო, ფილიპ ჰელანდერი, ხუან მანუელ ვალენსია

**ფიორენტინა-ვერონა**

ფიორენტინა: ტრავმ-ფედერიკო კიეზა, მილან ბადელი

ვერონა: ტრავმ-დანიელე ვერდი, რომულო, ალესიო ჩერჩი, ბრუნო ზუკულინი, მატია ძაგანი

**ჯენოა-უდინეზე**

ჯენოა: ტრავმ-ფედერიკო რიკი, ალეანდრო როსი, ადელ ტააბარტი, მიგელ ველოსო, ლუკა როზეტინი

უდინეზე: ტრავმ-ანტონინ ბარაკი, ალი ადნანი, ვალონ ბეჰრამი, გაბრიელ ანგელა

**ტორინო-ბენევენტო**

ტორინო: ტრავმ-ანტონიო ბარეკა, სიმონე ედერა, ანდრეა ბელოტი

ბენევენტო: ტრავმ-ანდრეა კოსტა, ლუკა ანტეი, აშრაფ ლაზაარი, პიეტრო იემელო

**კროტონე-კალიარი**

კროტონე: ტრავმ-ალექსანდარ ტონევი, შტეფან სიმიჩი, ანდრეა ნალინი, მარკო ტომინელო

კალიარი: ტრავმ-ლეონარდო პავოლეტი, ლუკა ჩეპიტელი

**მილანი-ლაციო**

მილანი: ტრავმ-ფრანკ კესიე, ხოსე მაური, ანდრეა კონტი

ლაციო: ტრავმ-სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩი, ფელიპე კაისედო, ლუკას ლეივა, დავიდე დი ჯენარო

**რომა-სამპდორია**

რომა: ტრავმ-ფედერიკო ფაციო, დიეგო პეროტი, გრეგუარ დდეფრე, დანიელე დე როსი, რაჯა ნაინგოლანი

სამპდორია: ტრავმ-გასტონ რამირესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 21 | 17 | 3 | 1 | 45:13 | 54 |
| 2.იუვენტუსი | 21 | 17 | 2 | 2 | 50:15 | 53 |
| 3.ლაციო | 21 | 14 | 4 | 3 | 56:25 | 46 |
| 4.ინტერი | 21 | 12 | 7 | 2 | 36:16 | 43 |
| 5.რომა | 21 | 12 | 5 | 4 | 32:16 | 41 |
| 6.სამპდორია | 21 | 10 | 4 | 7 | 40:31 | 34 |
| 7.მილანი | 21 | 9 | 4 | 8 | 27:28 | 31 |
| 8.ატალანტა | 21 | 8 | 6 | 7 | 31:27 | 30 |
| 9.უდინეზე | 21 | 9 | 2 | 10 | 34:31 | 29 |
| 10.ტორინო | 21 | 6 | 11 | 4 | 29:28 | 29 |
| 11.ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 30:24 | 28 |
| 12.ბოლონია | 21 | 8 | 3 | 10 | 26:30 | 27 |
| 13.კიევო | 21 | 5 | 7 | 9 | 21:37 | 22 |
| 14.სასუოლო | 21 | 6 | 4 | 11 | 14:31 | 22 |
| 15.ჯენოა | 21 | 5 | 6 | 10 | 16:23 | 21 |
| 16.კალიარი | 21 | 6 | 2 | 13 | 19:33 | 20 |
| 17.კროტონე | 21 | 5 | 3 | 13 | 16:38 | 18 |
| 18.სპალი | 21 | 3 | 7 | 11 | 22:39 | 16 |
| 19.ვერონა | 21 | 3 | 4 | 14 | 18:44 | 13 |
| 20.ბენევენტო | 21 | 2 | 1 | 18 | 13:46 | 7 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.01 პსჟ-მონპელიე | 1.14 | 7.5 | 17.0 |
| 27.01 ანჟე-ამიენი | 1.85 | 3.3 | 4.6 |
| 27.01 გენგამი-ნანტი | 2.37 | 3.1 | 3.2 |
| 27.01 მეცი-ნიცა | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 27.01 სტ.ეტიენი-კაენი | 2.05 | 3.2 | 3.8 |
| 27.01 ტულუზა-ტრუა | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 28.01 ლილი-სტრასბური | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 28.01 ბორდო-ლიონი | 3.3 | 3.5 | 2.1 |
| 28.01 მარსელი-მონაკო | 1.95 | 3.75 | 3.6 |

**პსჟ-მონპელიე**

პსჟ: ტრავმ-ტიაგო მოტა

მონპელიე: ტრავმ-კევინ ბერიგო

**ანჟე-ამიენი**

ანჟე: ტრავმ-სალიუ კისი, მეჰდი ტარატი

ამიენი: ტრავმ-დანილო აველარი, გუსამა ფოფანა

**გენგამი-ნანტი**

გენგამი: ტრავმ-ჯონათან მარტინ პერეირა, აბდულ კამარა

ნანტი: ტრავმ-კალიფა კულიბალი

**მეცი-ნიცა**

მეცი: ტრავმ-ბენუა ასოუ-ეკოტო, მილან ბიშევაჩი, ტომას დიდილონი, კაფუ, ჟან ჟოფრე, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

ნიცა: ტრავმ-კრისტოფ ჟალე,მაქსიმ ლე მარშანდი, რემი ვალტერი, ვინსენტ კოზიელო, ნამპალის მენდი, არნო ლუსამბა

**სტ.ეტიენი-კაენი**

სტ.ეტიენი: ტრავმ-ვინსენტ პაიო, ერნანი

კაენი: ტრავმ-ადამა მბენგუე

**ტულუზა-ტრუა**

ტულუზა: ტრავმ-ფრანსუა მუბანჯე

ტრუა: ტრავმ-ჰიუნ ჯუნ სუკი

**ლილი-სტრასბური**

ლილი: ტრავმ-ადამა სუმარო, კევინ მალკო

სტრასბური: ტრავმ-ალექსანდერ ოუკიდა, აბდულ კადერ მანანე, დიმიტრი ლეინარდი, ბინგორუ კამარა, ბენჯამინ კორნე

**ბორდო-ლიონი**

ბორდო: ტრავმ-იგორ ლევჩუკი, ჯერემი ტულანანი, ალექსანდერ მენდი

ლიონი: ტრავმ-არავინ

**მარსელი-მონაკო**

მარსელი: ტრავმ-მორგან სანსონი, ჯორდან ამავი, გრეგუარ სერტიჩი

მონაკო: ტრავმ-ჯემერსონი, ტერენსე კონგოლო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 22 | 18 | 2 | 2 | 68:17 | 56 |
| 2.ლიონი | 22 | 14 | 6 | 2 | 51:22 | 48 |
| 3.მარსელი | 22 | 14 | 5 | 3 | 45:22 | 47 |
| 4.მონაკო | 22 | 14 | 4 | 4 | 51:22 | 46 |
| 5.ნანტი | 22 | 10 | 4 | 8 | 19:21 | 34 |
| 6.ნიცა | 22 | 10 | 4 | 8 | 28:31 | 34 |
| 7.მონპელიე | 22 | 7 | 10 | 5 | 20:15 | 31 |
| 8.რენი | 22 | 9 | 4 | 9 | 27:30 | 31 |
| 9.გენგამი | 22 | 8 | 5 | 9 | 24:29 | 29 |
| 10.სტრასბური | 22 | 7 | 6 | 9 | 27:37 | 27 |
| 11.კაენი | 22 | 8 | 3 | 11 | 14:24 | 27 |
| 12.ბორდო | 22 | 7 | 5 | 10 | 24:31 | 26 |
| 13.ამიენი | 22 | 7 | 4 | 11 | 20:24 | 25 |
| 14.დიჟონი | 22 | 7 | 4 | 11 | 31:45 | 25 |
| 15.ტრუა | 22 | 7 | 3 | 12 | 22:31 | 24 |
| 16.სტ.ეტიენი | 22 | 6 | 5 | 11 | 20:37 | 23 |
| 17.ანჟე | 22 | 4 | 10 | 8 | 25:32 | 22 |
| 18.ლილი | 22 | 6 | 4 | 12 | 19:33 | 22 |
| 19.ტულუზა | 22 | 5 | 5 | 12 | 20:32 | 20 |
| 20.მეცი | 22 | 4 | 3 | 15 | 18:38 | 15 |

# გოგა ბითაძე: „თბილისურ მატჩებს მოუთმენლად ველი“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დატოვება მოუხდა, — წერია ფიბას ვებგვერდზე.

ბელგრადში გოგას მეტოქე ნბაში გამობრძმედილი ცენტრი მიროსლავ რადულიცა იყო, რომელსაც ქართველებმა ვერაფერი მოუხერხეს. სერბმა ვეტერანმა 30 წუთში 28 ქულა, 8 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა და დაფარება მიითვალა, ბითაძე კი პირველ შეხვედრაზე უკეთ გამოიყურებოდა და 21 წუთში 8 ქულა (10-დან 2 თამაშიდან, 8-დან 3 საჯარიმო), 4 მოხსნა, 1 დაფარება, 1 ჩაჭრა და 3 პერსონალური ფოლი მოუგროვდა.

**გოგა ბითაძე:**

— გერმანიასთან ჩემი პირველი ოფიციალური მატჩი იყო და ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვითამაშე. ზირბესი ძალიან გამოცდილი ცენტრია და, მისი ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით, გამკლავება გამიჭირდა. აი, რადულიცას განეიტრალება ძალიან რთული იყო. ის უმაღლესი კლასის ცენტრია, რომელსაც წამყვან ლიგებში თამაშის გამოცდილება გააჩნია.

ჩინეთი-2019-ის საკვალიფიკაციო მატჩები პირველი არ ყოფილა, როდესაც გოგას ქვეყნის ეროვნულ გუნდში უხმეს. 2,10 მ. სიმაღლის ცენტრი ნაკრებში გახლდათ ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის მიმდინარეობის დროსაც, თუმცა ტრავმის გამო მოედანზე გასვლა არ მოუწია.

მიუხედავად ამისა, გოგას შანსი მიეცა, უშუალოდ გუნდში ყოფნისას ენახა ისეთი გამოცდილი კალათბურთელების თამაში, როგორებიც ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი და გიორგი ცინცაძე არიან.

— ევროპის ჩემპიონატზე ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, როგორც მოედანზე, ასევე – მის მიღმა. თუნდაც, ემოციების კონტროლი და ის, სხვადასხვა სიტუაციებში თავი როგორ უნდა გავაკონტროლო. პირველ ყოვლისა, ამაში ყველა მატჩში ბოლომდე დახარჯვას ვგულისხმობ. მუდამ საუკეთესოდ უნდა გაისარჯო.

უდავოა, რომ დროთა განმავლობაში ბითაძეს ნაკრებში სულ უფრო დიდი როლი დაეკისრება. შესაძლებელია, ეს უკვე მიმდინარე შესარჩევ ციკლში მოხდეს, სადაც მომავალ მატჩებს ქართველი ტალანტი იმედებს უკავშირებს.

— რასაკვირველია, ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაში უდიდესი პასუხისმგებლობაა და ამით, ძალიან ბედნიერი ვარ.

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო პირველობის კვალიფიკაციის საწყისი 2 მატჩი სტუმრად ჩაატარა, მე-2 ფანჯრის დროს კი 22 თებერვალს ავსტრიას ეწვევა, 24-ში კი, ბოლოს და ბოლოს, გერმანიასთან საშინაო შეხვედრასაც ჩაატარებს.

— თბილისურ მატჩს მოუთმენლად ველი. ჩვენთან საშინაო მატჩებზე საოცარი ატმოსფეროა ხოლმე. ხალხს კალათბურთი ძალიან უყვარს და ვფიქრობ, ახლაც დიდი მხარდაჭერა გვექნება. ნაკრებმა ის თამაში უნდა ითამაშოს, რომელიც ყველაზე მეტად ეხერხება და მჯერა, იღბალიც ჩვენ მხარეს იქნება. ცხადია, რომ მომავალი ფანჯრის დროს მინიმუმ 1 მატჩი მაინც უნდა მოვიგოთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# TV პროგრამა TV პროგრამა



TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 29 იანვარი

